



ივედი

1882

წელიწადი მეორე.

№ II, თებერვალი.

თფილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-ქუთაის ქუჩაზე.

1882



თეოკრატის წიგნის შინაარსი.

- I. მე და ონისიმე. მოთხრობა . . . † მიხეილ ასათიანისა
- II. წიკარტი (ლექსი) გემისა
- III. ხალხური ლექსი
- IV. ხალხური სიმღერა
- V. მგზავრის შენიშვნები ალალო თუთაევისა
- VI. საქართველოს მოკლე მატიანე (გაგრძელება) მოსე ჯანაშვილისა
- VII. „იმედის“ კორრესპონდენცია სენაკიდგან სენაყელისა
- VIII. განცხადებანი

ამ წიგნშივე დასაბუქდათ ამოწეობილნი და გამსაღებულნი იუგუნე შეძღვეი სტატიები, რომლებიც ცენზურამ სამუდამოთ დაიჭირა:

- I. წერილჰანი შენიშვნები. . . ს.ტ. ჭრელაშვილისა
- II. შანაური მიმოხილვა . . . მ. გურგენიძისა
- III. „იმედის“ ფოჩტა რედაქციისა

კარდა ამისა, თითონ დაბუქდილი სტატიებიდგანაც ზოგიერთნი, «რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიხეზის» გამოკვე, შემოკლებულ იქმენ, სტატიას კი „საუკედური“ — ქიზიყელისა, რედაქციის განკარგულებით, არ დაბუქდა, რადგანაც მასხედ მასხესა რედაქციისა ჭ ლექსი თვით ცენზორის ღ. ისარლოვისა, სახელათ „ჩემო მამულა“!!! — მოქცეულნი „იმედის“ ფოჩტაში, დატუსაღებულნი შეიქნენ. ეს იყო მიხეზი თებერვლის წიგნის ამ გვარნი სიპატარავისა და დაკვიანებისა, რაჟედაც ბოდიშს ვითხ ჭოთ მკითხველებთან.

ი მ ე ჯ ი,

ყოველ-თვიური

სალიბერატურო და საკოლიტიკო

ჟურნალი.

წელიწადი მეორე

თავმჯავალი.

28



თფილისი
ექვთიმე სელაძის სტამბა.
1882

საქართველო

საქართველო

საქართველოს

საქართველო

საქართველო

საქართველო

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 января, 1882 года.

საქართველო
საქართველოს
საქართველო



მე და მნისნივე. *)

(მოთხრობა.)

ნაწილი პირველი.

(გაგრძელება.)

XII

გათავდა ეგზამენები; გაიკრიფნენ შინისაკენ სემინარე-
 ლები. ჩავახარე მეც ხუროთმოძღვრებაში, ჩავედი კი წამ მუხრანს, და გავ-
 მგზავრე სოფლისაკენ, რომ გამკეთსრულად დედას და ნათე-
 სავთა. შინ წასვლა მომიხდა მეფე ერეკლეს კარკიტით, ჩვენი
 მამა-პაპური ურძით. დილით, ღამიანათ გავდით ჩვენ თბილი-
 სიდაგან და მეორე დილაში გზასკად დაკრებით. ეს დრო მე
 საუფუნეთ მეჩვენა. უფრო გაგრძელდა ჩემთვის შუა დღე,
 რაღაც ჩამოცხა საშინლათ, დედა-მიწას აუვიდა სახიდაგან პაპა-
 ნაქების ალ-მუღი. დაგვქდა ჩვენ ღვათ-ქათვივით რთული და
 სუნთქვა შეგვეგუბა. სამსრობის უამს კი წამოიშალნენ ღრუბ-
 ლები; მათ თან მოჰყვა დასავლეთის ნიავი და გაგვიგრილა
 ხელ-პირი. ამ დროს უფრო შემიპყრო მე თეატრმა, რომელ-
 მაც გამომდიოდა შინაგანი სიცხე და კოჩიანტული ამადინა
 სასესედ.

*) დასაწყისი იხილეთ «იმედი» 1881 წ. № 5. № 1 1882 წ.

— როგორ უნდა გაუცხადო ჩემი რუსეთისკენ გამგზავრების წადილი დედა-ჩემსა, რომელიც ეს რვა წელიწადია, რაც დგას მუხლის კვერბსედა და ამას შელადებს დედა მღვთის მშობელს ღ წმიდა გიორგისა: „მშვიდობით გაათავებინეთ ჩემს მონაგარს კუჩსი და მალე მოახედვინეთ ჩემს ოხერ-ტიადლობისთვისაო.“ რა დაემართება მას, როცა გაიგებს, რომ მე ოთხი წლით კიდევ უნდა გაუგრძელა იმას ძაღლ-უმაღური ცხოვრება ჩემი რუსეთში წასვლითა? გაუძლებს იგი ასეთი ამბის შეტყობას? განა არ გადაიარევა? და თუ არაფერი არ დაემართა, დამილოცავს მაინც გულით გზასა?... არა!... ვანუგეშებდი ისევ შევე ჩემს თავსა, დედა-ჩემს არაფერი დაემართება, იგი გზასაც დამილოცავს, რადგანაც შვილის სიკეთისათვის ყველაფერს იზამს დედა, ყველაფერს გაუძლებს, აიტანს; მაგრამ რა ხეიროს დამაყრის მე ჩემი სინიდასი? განა არ შემეჭამს, არ დამღრღინას, რომ უგრძელე მას ტანჯვის დროსა, რომელიც, იქნება, რომ კვლავც კი და აიტანოს?! მაგრამ. . . .

ასეთი თქმულებით მქონდა მოცული თავი და ვერ შევნიშნე, როგორ დაღამებულაყო. დამე დაგვიდგა მეტათ ბნელი. ასეთ სიბნელეს ზედ მოჭყვას საშინელი ჭექა-ქუხილი და წვიმაც, რომელმაც უცებ თესებამდის ჩავკრცხა. ამას ერთი ის უბედურებაც დაემატა, რომ უჩემი წამოდრო დეპეშის სესა და ღერძი ზედ მიიმსხვრია. ჩავრჩით ამ საშინელ ღვაწიანობაში შუა მინდორსედა ცის ქვეშა. მეურმემ გამოუშვა სარკამბუჩი და შარას იქით გადააღწა სამოვრათა.

— რა გქმნა? საით წავიდეთ? ვკითხე მე ჩემ თავსა. მერე კი გადმოვიღე ხურჯინი, მოვიგდე მხარსედა, ჩავაგლე ხელი ჩემს ზატარა ძმასა და გუთხარ: აბა წავიდეთ!

— სად წავიდეთ? მკითხა იმან.

— შინ წავიდეთ აქედან ფეხითა. დიდი მანძილი აღარ არის იქამდინ.

ჩვენს სოფლამდი იქნებოდა იმ ადგილიდან ოც-და-ხუთი ვერსი. მანძილი, მართალია, დიდი არ იყო, მაგრამ ადგილი, რომელიც უნდა გაგვეკლო, იყო მეტათ უდაბური და საშიშო. გზას სრულებით ვერ გაბგებდა იმ დროს გაცი, რომ გაეღებოდა დროს არ განათებულყო სოფლმე დედა-მიწის ზურგი. ჯერეთ გვეჩნდა გადასაკალი სერი. როცა ავედით სერზედ, მე შეენიშნე, რომ ამ სიბნელეში ვარსკვლავებით დაღაცები ბრტყინავდნენ აქეთ-იქედან. მასშინვე მივსვდი, რომ აქ აღბეათ მგლის ჯოგი უნდა იყოს მეთქი. არც მოვსტყუედი მე ამაში. დიდი ხანი აღარ გამოსულა მას შემდეგ, როგორც სასარკელის სმით შესძასა ერთმა, მეორემ მას ბანი მისცა და ბოლოს შეიქმნა ერთი თავ-სარ დასაცემი რამ ფერხასა. მე თუმიცა არ მუშინადა, მაგრამ ქუდი ველარ დავიყენე თავზედა. ნუ იტყვით, თუნიმე ჩემს უნებურათ ქოხორჩი მალა ადგარყო და ის არ მიყენებდა თავზედ ქედსა. მომაგონდა იმ დროს მამა-ჩემი: იმასაც, როცა ახალ-გაზდა ძღველი ყოფილიყო, ერთხელ ასდევნებოდა ესე მგლის სროვა და კინაღამ არ შავჭამა—თავი იმით გადაეჩარჩუნებინა, რომ ამოკლეთების ჯიბიდან სანაწილე და ემლიკა პირში, როცა რომელიმე წამოუყაწუნებდა. მომაგონდა ეს ამბავი და ჯავრი მომივიდა ჩემს თავზედ, რომ არც მე და არც ჩემს ჰატარა მძას არა გვეკიდა რა გულზედა. მე ვშიშობდი უფრო ჩემ ჰატარა მძასზედ; მაგრამ ის ჩემზედ უფრო ყოხლათ იყო. მე მაინც მოვისადე თავიდან ჩემი ქუდი და მას დავხურე თავზედა. აი ჩისთვის. ჰატარაობაში მე ძრეულ მშიშარა რამ ვიყავი. შებინდებოდა თუ არა, მე გარეთ ველარ გამოვიდოდი სოფლმე.



ერთხელ საღამოს ჟამს კენახიდგან შინასკენ მოკვიდით. გზასუდ დეღე გვეჩნდა გამოსავლელი. რაღა შემოკვიდით ამ დეღეში, აქეთ-იქიდგან ტუჩებმა კვილი შექმნეს. მე შევშინდი და მამას მოკვებე. მამა გამიჯავრდა ამისათვის:

— ვისი შვილი ხარ, რომ მაგრე გეშინიან? მითხრა მან მრისხანებით, მეგრე კი მოიხსნა თავისი წიპ-წიპინა ქუდი, დამხურა თავსუდ, ჩემი კაქტუსი კიდე თითონ მოიგდო გეფასუდ და მამინ კი ალერსიანათ დაეყოლა:

— აჰ, შვილო, ესლა აღარ შეგეშინდება!...

არ ვიცი, რა ძალა ჰქონდა იმის ქუდს, ანუ იმის სიტუკებსა, ეს კი იყო, რომ იმას შემდეგ მე აღარ შემშინებია. შინ იქით იგეთი უშიშარი რამ გავსდი, რომ თოთხმეტის წლის ბიჭი დათვთან შესაბამელებლათაც კი წავკედი.

გავიარეთ ათიოდე ვერსი. ის შეჩვენებულები მანც არა გვემჩნებოდნენ თვალებიდგან, თუმცა ახლო მოსვლასაც ვერა ბედავდნენ. რამდენჯერმე ვსტადე, მინდოდა მალაღის სმით სიძღვრა დამეწყო, მაგრამ მე ეს ვერ მოვასწერსე ხანდასხან კი შორიდგან შეუჭყვივლებდი სოლმე, მაგრამ აქაც არ იყო, რომ—ჩემს სმას თავისი ძალა და რიხი სრულებით არა ჰქონდა. ბოლოს სამშვიდობოში რომ გადაკვიდით, წვიმამ გადიდო. ღრუბლებმა დაიწყეს დაშლა და გაეშურნენ აღმოსავლეთისაკენ, თითქო სწრაფი ბრძანება მოსვლიათ კავკასიის მთებიდგან, რომ ესლავ აქ შეიკრიბებინათ. ცოტ-ცოტათი დაიწყო ცამ შინის გამოჩენა. გახსნილეს თვალები ვარსკლავებმაც და, რაც უფრო მეტათ სასიხარულო იყო ჩვენთვის, მოგვესმა მეურმის ხმაურობა, რომელმაც სრულად ჩაიხვია ჩემი გული თავის უბეში. ეს ის ღრე იყო, როდესაც ცაში ნათე-

ლი ჩაუკრდა და ტან-გახანაღმა ქვეყანამ დაიწყო ნელ-ნელა
ძიდიდგან გამოჩნება.

მშვენიერი წამ აწის აგეთი დილა! მშვენიერია უფრო
მაშინ, როდესაც გესმის შენ მისი ენა. სწორეთ, აუწყრელი
წამ აწის საფხურის დილა, როდესაც სდგესარ მალღობ ად-
გილზედ და გაიუგრები აღმოსავლეთისაკენ. როცა ხედავ, თუ
როგორ ეშურება გამოეთხოვოს დღეს ღამე. ცოტ-ცოტათი,
ქურდულათ აზარებს მასე მთის წვერებს თავის სხივს და ადებს
ცას ლაყის ძირში იმ ნიშანს, ესაღს, რომელიც დაწებს
ხოლმე ახალ-გაზდა ქაღს, შემდეგ საყვარლიდგან გოცნის მო-
ზარვისა. ინძრება, თვალებს იფშენეტს, იღვიძებს ქვეყა-
ნა; იწობენ ფრთხილს, ფეხზედ წამოდგომას და ტკბილის
ხმით მიგებებს ცხოველს მუფოელი მზისადმი ჩიტნი და
გვრიტნი. მომეტებულათ უფრო ბუღბუღის ხმა გაგიუებს ამ
დრესა: შენ გგონია, ვითომც აი ამ ჰიკტიკის ეშხმა, მისმა
ძალამ დახნდა, მიამინა ცაში ვარსკლავნიო და, თუ რჩიოდენი
კიდევ დაწინენ, აგერ იმათაც მეტი გელარ გაუძლიათ, სოკლე-
შენ და საცაა სრულებით დასუჭვენ თვალებსაო. მაგრამ აქ
უგელათერი დაგავიწულებათ, თუკი მოგესმით საიდგანმე მეურ-
მის სიმღერის ხმა, სამსე იმ ნაღვლითა და მწუსარებით, რომ-
ლითაც ქშინამს მრთელი წარსული ჩვენი ცხოვრება და რომე-
ლიც ესე კარგათ გამოხატულია ქართველების ძველ სიმღე-
რებში

XIII

შინ იმ დროს მივედით, რომელსაც დედა ჩემი გამოსული იყო გარეთ, იდგა დერეფანში, უყრიდა ქათმებს საკენკსა და თანაც ესაუბრებოდა მათ. ჩვენი სახლი წელში დაგახრიალიყო გვერდზე და ნაღვლიანი სახით გამოიყურებოდა. ესე წმინდათ იყო მოკასკასებელი, რომელსაც იხმობებოდა, ახლად გამოღვიძებული, მუჩიკა. აი ამ მუჩიკამ გაიგო ყველასგან უწინ ჩვენი ფეხის ხმაურება, გამოექანა ჩვენკენ დიდი დავიდანობით; მაგრამ შუა გზასედეგ გვიტოლო, ვინც ვიყავით, და ამოუშვა კენესა და წმუეუნი, თითქო იმას გვეხვეწებოდა — მასტრეთ აგეთი ჩემი შეცდომად. მუჩიკას ხმაურებასგან მოიხვედა დედაც.

— უი, თქვენ კი გენაცვალათ, შვილო, დედა თქვენი! სთქვა და გამოექანა ჩვენკენ. მოგვეხვია, დაგვეტონა და, მომეტებულის სინჯულით, ატირდა.

გამოვიდა გარეთ ყავანჯუნზე და ზეხნილი ბებია-ჩემიც. დაგვეტონა იმანაც და თან სედა დაყოლა ჩვეულებრივი თვისი წყწუნი და მასთან ჩემსედა სამდურავი:

— რა იყო, რომ ამ დამით არ გველო და ვერე არ მოგველა შენი თავი და უფრო ეს ზატარა შენი ძმა. რატომ არ გეშინიან, შვილო! განა არ იცი, რომ ათასი მანკე და ავისული დაიარება ამისთანა დამეშია?! მამა-შენმაც ემაგრე იცოდა. იმისგანაც ემაგრე გულები გვეტონდა განსეთილი ყოველთვისსა და შენ მანც მოერიდე. ვინ იცის, განა მუდამ ასელები ფათურავსა რა! . . . ნათქვამია, ყოველთვის კოკა წყალს ვერ ზიდავს.

ჩვენი მისვლით ყველა გამხიარულდა, თვით ბუბია-ჩემიც კი განარბული სახით დაიარბოდა, თუმცა თავის წუწუნს არა შლიდა. მეტყვლებმა სომ, რომელნიც ჩვენ სახლში ბუდობდნენ, აიკლეს იჭაურობა თავის ჭიკჭიკით. მათი ენა არ დამდგარა, თითქო ამხიარულებდნენ დედა-ჩემს და უფლცაგდნენ მას შვილების მისვლას. უბანმაც მაშინვე შეიტყო ჩვენი მისვლის ამბავი. ერთი კი შესძახა ჩვენებიაანთ ფეფეულამ: გიორგი და სოსო მოვიდნენო და მაშინვე ყველამ გაიგო. მოდგნენ ღობესთან უბნის დედა-გატეხი და აქედან მოულოცეს დედა-ჩემს შვილების მშვიდობით ნახვა. ამასთან უკუყინეს კიდევ:

— გიორგის ახლა კი კარგა ბარაქიანთ შამოტხსეკვიას წვერულკაში და ახლი საცოლო ვაჟვანი გამხდა. აბა, შენ იცო ახლა, რომორც მალე მოტეგრი პატარძალს და დასხაურებინებთ ეზოყურეს.

ყველა ამას წმინდა გულით ეუბნებოდნენ ივინი დედა-ჩემს და ის კი არ იცოდნენ, თუ თვით გიორგის გულში რა ცუტსლი ტრიალებდა, რომ მას ჯერეთ არა სცხელოდა მათი პატარძლისათვის.

დედა-ჩემს პირველათ არა სჯეროდა, რომ მე რუსეთში უნდა წავსულიყავ. მას ხუმრობათ მიაჩნდა ესა. როცა კი დარწმუნდა, მაშინ მითხრა:

— რა გქნა, შვილო, თუ ხედავ, რომ შენი საქმე კარგათ წავა, წადი, დეკრთმა ხელი მოგიძაბოთო! ძალით მე გერ დაგიტერ შენ აქა.

ბუბიაჩემმა კი თავი მოიკლა ამასვლად:

— რას ამბობ, შვილო, მეუბნებოდა იგი ბახანითა და კანკალით. უწინამც დდე მე გამიქრეს, ვინამ აქედან გამგზავრებულს დაგინახავდე. რას ამბობ! იქნება შენ არ იცოდდე, რა

საშიშარი რამ არის რუსეთის გზა და ან კი საიდგინად
დინება, შენ ჯერეთ უმაწვილი ხარ ისევე და თვენი სახით გა-
დაგიდგამს. მე გეტყვი, შვილო, ახა უური კარგა დამიგდე.
ქიტუანთ ბასილას დროული კაცი იყო, იმას ქვეყანა ნანახი
ქქონდა. ბატონის ერთგული და სუყვარელი უმა იყო. ამიტომ
დიდმა ბატონმა თავის შვილ სივოს გააყოლა თანა, როცა ის
რუსეთში გაგზავნა. აი ის ბასილას იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ
წითელ ზღვამდინ კი, როგორც იყო, მივასწვიეთ, მაგრამ იქით
წასვლას კელარ გაგებდეთ და უკან მოვბრუნდითო. ჩემი ბა-
ტონის შვილი ზღვის ნაპირს იდგა და იქიდგან თვალი მო-
კვრა ერთ უშუკლებელ გველეშაპისთვის, რომელიც სანდის-ხან
თავს ამოჭყოფდა წყლიდგან და თვალებს გვიბრიალებდაო.
შეშინდა ამაზედ უმაწვილსა და მითხრა: «მოდო, უკან დავბრუნ-
დეთ, თორემ ისეთ რჯულ ძაღლს რამესა ჭკავს ესა, რომ,
თუ აქ არა დაგვიმართა რა, უთუოთ უკან აგვედევნება და შიგ
შუა ზღვაში ჩაკვდუნავსო». ბასილასაც, რასაკვირველია, ხელი
მოეძარტა და გამობრუნებულ იყვნენ. როცა შინ მოვიდნენ,
ძრეულ დაუძაღლა ამაზე დიდმა ბატონმა ბასილას, რომ შვი-
ლი შინ მშვიდობით მოჭკვარა, და ხალათიც ახუჭა ამის გუ-
ლისათვის. აი, შვილო, მცოდნე კაცები რას იტყვიან ხოლმე
იმ საკვარსო ადგილზედ და შენ როგორ უნდა გაბედო აკუ-
თი საშიშარი გზის გადგომა?!

ბებია ჩემს ეს ამბავი ნამდვილათ ქქონდა გაგონილი და,
როგორც ძველი ადამიანი, სჯეროდა კიდევ. რომ გული
დამემშვიდებინა, მე ვუთხარ მას პასუხათ:

— ის გველეშაპი დიდი ხანია რაც მოუკლავთ, ჩემო ბებია!
მართლს და დიდი რამ კი ყოფილიყო. ისეთი დიდი, რომ

იმის სისხლით შეღებულყო მძთელი ზღვა, და აი აძიტომაც
ემახიან სოფლე იმ ზღვას წითელ ზღვას.

თქმით კი, წოგორც იყო ვთქვი, მაგრამ მეტე მევე
შემტრსვა ჩემი თავისა აგეთი სიტრუის წამოწოშვისთვის და
ვერც აწას გავხდი მე ამ ზასუხით: ბებია-ჩემი მანც ვერ
დავაჯერე ვერაფერში.

მე მევანდა ერთი ბიძა — დედის ძმა, და ერთიც სიძე.
ამათ ორთავეს მე ძრეულ ვუყვარდით. ბიძა ჩემი იყო მო-
ნასტერში აღზრდილი, მამასთან, ჩემი სიძე ძველებური სემი-
ნაწიელი. ორივენი ძღვდლათ იყენენ და ერთ-ნაირი მოხერ-
ხებული კაცები — სიტყვით, თუ საქმეში. ბიძა ჩემი ძრეულ
წიკილ-შვილი იყო და ძრეულიც ვერას უზამდა მას, რომ თა-
ვის სულით არ ეცოდვილა და არ აეშენებინა ცოლ-შვილის-
თვის სახლი, არ დაეღა მათთვის ბინადრობა. დურგლობა
და კალატროზობა მან მშვენივრათ იცოდა. სამთარში სულ
დურგლობდა, სხვა დროს კი, ორცა საქმე არ ქქონდა ძრეულ-
ში, უჭინა ხელში ქაიხა და კალატროზობდა. საკუთარ თავის
სულით ქქონდა მას გაკეთებული თვისი ორ ეტაყიანი სახლი.
სხვასაც შეულოდა სოფლე და ამაობაში თავი-თავს უყრიდა
თითო-ოროლა გროშსა. ჩემი სიძე კი აღებ-მიცემის კაცი იყო.
მას ქქონდა გინათ აღებული ვენახები, სახნავი მიწები და
კარგათაც რჩებოდა მათ. მე იმედი ამ ორ კაცზედ მქონდა,
რომ იგინი შემიწოებდნენ ხელსა და მომცემდნენ საგზათ
ფულს. ჩემი იმედი აღსრულდა. ერთმა მომცა ხუთი, მეორემ
ოთხი თუმანი. იქნება მომეტებულიც მოეცათ, რომ ქესატათ
არა ყოფილიყენენ იმ დროსა, წოგორც თითონაც მოიხივ-
ლეს. ესრეთ საგზათ შემიღვა მე ცხრა თუმანი, რაც იმ
დროს მე ცხრა მილიონათ მიმანდა.

როცა გაიგო ბებია ჩემმა ეს ამბავი, რომ მკვან და მკვანებს იუული მიუტიათ გიორგისთვისაო, თავი მოიკლა ჭამოილო ერთიცა და მეორეც წყევლითა და ქოლვით. მერე მივარდა სანოდავ დედა-ჩემსა და სიტყვებსე ჩაუძწარა.

— რას გაჩუმებულხარ, აღმანო! ეუბნებოდა მას იგი გჯავრებით. . . . რატომ არას იტყვი რომ შვილსა გბირავენ და სასიკვდილო გზასედ აყენებენ! რატომ არ მისდგები საითმე და არ იტყვი, თუ რათ გვიშვრებიან ჩვენ ამისთანა საქმესა! განა აღსხად არის ქვეყნასედ სამართალი! ადექ ესლავ, გასწი ქალაქისკენ, შედი არქიელთან, მუსლებსედ მოესვიე და ნუ დაჭკატვავ ამ მსათ გამოზრდილ შვილსა. რაო?!... გეთავილებს ქალაქში ჩასულს და არქიელთან სათხოვნელათ შესვლას?!... უი შენს ბეკებს!... შენისთანა ვიყავი არა, რომ შუა ზამთარში, როცა კოჭებსმდი თოვლი იდვას, თვით-შიშველს ჩავკარდი ქალაქსა და ხელიდგან გამოგვლიჯვ მკვის მამა ერთვილდა რუსს, რომელსაც მკრე შევეუღიანებინა და თან წყვანას უბირებდა. ნეტამც იყოს ის დეე. . . . უი, შვილო, რათ სარ შენ გამიწებული და შენი აღჩენილი დედა კი მოესწრო ამ ამბავსაც, რომ შენს სიყმის შვილს გიორგის სასიკვდილო გზასედ აყენებენ და მშველელი არ ვინა ჭყავს. . .

— მერე, განა მადრელი იყო მკვისათვის მამა-ჩემი? გავაწვევტინე სიტყვა ბებია ჩემსა. განა სულ იმას არ გისყვედურებდა ხოლმე, რომ შენ ამშორე თავიდგან ბედნიერებაო?!...

— კაი ბედნიერება კი დაემართებოდა, რომ უდროყო-დროთ იქ ჩაეკლა თავი. აქრომ დაჩხა, ხომ იტყვებს და თავის სასახელათ აი თქვენი თავი დასტოვას. მანამ ცოცხალი იყო, ხომ ხარობდა მანცა თვისი ცოლ-შვილითა და თუ ღმერთმა იმოტელა დრო არ მისცა, რომ თქვენი თავი დახანაკებული

ენას და ჩემი ცოდვით დაძმობებული ლეშიც მიწას მივცა
თავის ხელით, რა ვუყო! გურთხეულ ანს სახელი უფლისა...

— ან... ბები, გამოგურცვალე სიტყვა, ჯაშაიტაშვილი
რომ იყვანდა დასაბრუნებელი ბეგე ემაგ ტასტრე რომ სადილსა
სუბდნენ, რომ... სვლაც ესლა შენა ზინხან? გასსოვს, ჯაშაიტა-
შვილმა რომ ერთი აქია ჩამოუგდო მამა-ჩემსა ბ მეჩე უთხრა:

„— გინდა, კაცო, რომ ვაბღერდი გიქვს სიმიდრე შენი
იყოსო?“

— დმერთმა შეაწესებინოს ისიცა და იმის სიმიდრის შემ-
ნატრელიცაო, უზასუსა ამასეღ მამა ჩემმა. თუ მეითხავ — მე
უფრო გაცილებით გჯობივარ მას სიმიდრითაც და სხვა თერივ
სიკეთითაცაო. რთი ისეთი შვილი მეწრდება, რომლებიდან ამ
ქვეყანასედაც სახელი დამჩნება და იმ საიქიოსკენ კიდე წინ
ცხოვრება წამიძღვებაო. და აბა ამას რომელი უნდა შეადარო-
სო!...“

— მე მამა ჩემი ძრეელ მიყვარდა და იმისი სურვილი უთუ-
რთ უნდა აღვასრულეო. თუ აქ დავჩნბი, მასინ თუჭათ ჩაივლის
მამი ჩვენის ჩვენსეღ იმედი: მეც აქ სისასწულე ჩამიგდებს
თვის კლანჭებში და ეს იმის სულს იქ შეაწესებს. რეცა რე-
სეთიდან მოვალ, მასინ კი სულ სხვა ვიქნები. შენ გზა და-
მიღრე, ჩემო ბებილო, წავალ, ერთი რთხი-რდე წელიწადს
კიდე ვისწავლი და მეჩე კი ჰირ-ნათლათ შამეძლება შავსეღო.
მამა-ჩემს იმ საიქიოს. ან კი რათ გინდივართ, რომ აქ გეჯ-
დეთ ასეთი უხეირო შვილი?

— დიას, უხეირო! გაიმეორო მეორე კუნჭულიდან დედა-
ჩემმა. მაგისთანა უხეიროს ქვეყანასეღ დანატრის. მაგრამ ჩვენ
რა გაგვეწეობა ახლა! მეტი რა ღონება, უნდა მოვითმინოთ.
გავსძლებთ შენს მოსვლამდი, შვილო, სომ კაცგი, — არა და,

მადლობა დმეტისა! ნახა ერთი დაგიოთქვამს წასვლა, შენი უკან დასეკა ალარ შეიძლება. მე კარგათ ვიცი თქვენი თავ-წვეწარაობის ამბავი. მაგრამ ეს მაინც გახსოვდეს, რომ გაუფრთხილდე შენ თავსა. მე ვიცი თქვენი ჯინშის ამბავიც. რამ დააბეჭა უღრმავოთ, უბედური, მამა-შენი? იმან, რომ საქმეს, რასაც ვი ხელს მოჭკიდებდა, ზედ შემოანაწინებდა ხოლმე თავსა. აი იმანაც ჩასცხრა იმას თავში და ადრეანათ მოაშორა თავის რბლებსა. გაუფრთხილდი, შეილა, შენს თავსა, დედა თავს შემოგველეს. გახსოვდეს ყოველთვის შენი საცოდავი დედა, ძმა და ეს ბებერი ადამიანი. სთქვა ეს თუ არა, ვეღარ დამიბეჭა თავი, თუძრა ვი ბეჭისა ცდილობდა, და გადმოსტვივდა თვალებიდან ტრწის სიმსხრა ტრემლება. გამიგონია, დედა-კაცის ტრემლი—წყალიაო. არა მგონია, თუ სულის დაუწკვლად შეიძლებაოღეს ამის თქმა ტრემლებზედა. რომ მართლაც წყალი იუოს დედა-კაცის ტრემლი, მაშ მე რათ დამეცნენ გულზედა გამდნარ ტყვიასავით დედა-ჩემის ტრემლები? მაგრამ, — ნუ თუ მე შეჩვენენ იგინი იმ დროს იგეთ ცხარეთ და მღუღარეთ?! ჭო, ეს ალბათ ასე უნდა ყოფილიყო. რის ნიშანნი იუვნენ ის ტრემლნი? ნუ თუ მის გულის მწუხარებისა? არა, — ეს ასე არ იქნებოდა, — დედის მწუხარე თვალებმა ტრემლი არც ვი იცინ. ის ტრემლები უფრო დაფარული სინარულის გამომხატველნი იუვნენ და მე ვი ვერ მივხდი მაშინ ამასა. დედის გული მეტათ ამხარტაკანი რამ არის იმ დროს, რადა სედავს შეილს ბედნიერ გზაზედა დამდგარსა. მაგრამ ყველა დედა ერთნაირათ ვერ გამომხატავს ამასა—ხოგის გული ჩვილია, ხოგისა მაგარი. დედა-ჩემი ჩვილი გულის ადამიანი იყო...

XIV

შინ დავიხეი ორ დღესა. კვირას დილით უნდა გამოვმგ-
სავრებულყავ თბილისისკენ. წოგორც იყო, დაწმუნდა ბებია
ჩემი, რომ ჩემი უკან დაწვევა და წამოუსვლელობა მოუხერხე-
ბელი რამ საქმე იყო. ამიტომ მას შახათ ღამეს ანც კი დაუ-
ძინია. ჭკრეთ ჩამოქნა კვირას ძლის სანთლები, დაუნთო შინ
ხატებს და იქ შეაკედრა ჩემი თავი. მეც გამოვიდა გარეთ, სულ
დახუსხუსებდა ეზოში, ხან ერთი მხრისაკენ მივიდოდა, დაუ-
ჩოქებდა იმ ეკლესიას, რომელიც იმის გასწვრივ კვლავობდა,
მეც გამობრუნდებოდა მეორე კუთხისაკენ, იქაც დაუჩოქებდა
ეკლესიას და სულ აზურელი სულ ამას ეკედრებოდა: „თქვენ
გაატანეთ ჩემ გიორგის თქვენი წყალობა. მივარკველ და ნუტე-
შინის მტკემელ ექმნეთ ამას იმ უცნა ადგილში — მშვიდობით
მოაბრუნეთ თავის მამის სამყოფელზედა“...

ღეღა-ჩემმა იმ ღამესვე გამიმზადა უკვლავური, რაც კი
რამ საჭირო იყო წამოსასვლელათ. დამიხრცხა, დამიკერა და
ასე გასუთთავებული ჩამიწო ტანისამოსი ერთ პატარა ნაკუ-
წების ბოღჩაში. ამ ბოღჩაშივე ჩადო მან ორი დიდი ხიფი
თავ-გაჭრილი, თმასავით დაწნული ძაფი. ერთი ხიფი იყო
შავი, მეორე თეთრი. თან ნემსებიც კი ჩაყოლა. აკეთი თა-
დარიგით იცოდა სოფლე მან ყოველთვის ჩემი გაგზავნა სას-
წავლებელში, რადგანაც კარვით იცოდა, რომ სემინარიელს
ნემსი და ძაფი აუცილებლათ დასჭირდებოდა, თუ ტანისამო-
სის დასაკერებლათ და თუ ქაღალდების შესაკერავათ. გაწდა
ამისა, ბოღჩაში ჩამიდო ექვსი წყვილი წინდა, ამათში სამი
წყვილი მოთვლილი იყო, ორი წყვილი — ჭრელი და ერთიც

სახიანი აბრეშუმისა, რომელიც ნათლის დედიდგანა შექმნდა გამოგზავნილი. დამიკლა სპი დედალი, ერთი საგზაოთ და რჩი თბილისში ჩამოსატანათ. ჰური იმ დღით გამომიცხა. შოთების მაგივრათ რგვალი ჰური დამიკრა, წადგანაც შოთი იმსხვრევა ძალე გზაში და რგვალი ჰური კი შოქმდის მის-დეკს აღამიანს. ყველა ესეები და მასთან ერთი ტიკტორს ღვი-ნო და ერთი ქილა კარაქიც, რომელიც ჩემს სიძეს გამოე-გზავნა, თვით მევე ჩავაწეე იმ დამესვე სურჯინში, პირი მოე-კარ მას სახლანთებით და მივსდგი ტანტის ბოლას. მე ვა-პირებდი დღით აღომას, ადრანათ გამოსუფას, რომ სი-გრილითვე ჰატა კაი მანძილი გამოქარა. დედა-ჩემმა დერე-ფანში გამიშალა ქვეშაგები და თითონაც თავი ჩემ ბალიშზედ მოდო და ისე მოატყუა თვალი.

სამსუგური გაწითლებული იყო, როცა ცხენი მოიყვანეს, რომლითაც მე უნდა წამოვსულიყავ. მე ისე ანათრისა შეშინ-ნოდა, როგორც იმ წამისა, როდესაც უნდა მეტქვა უკანასკნე-ლი სიტყვა ჩემი დედისთვის, გამოემშვიდობებულეყავ მათ. დედა-ჩემი სულ-განაბული იყო, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ წაღაც ცუცხლი უტრიალებდა მას გულ-მეცუელში. გადმოე-კავდა ხოლმე მეც ის ცუცხლი, მწვაკდა; მაგრამ, წადგანაც ერთხელ ვსთქვი, მოვიმაგრე ბოლომდი თავი.

— აბა, ახლა კი მშვიდობით, ვუთხარ მე ძალ-დატანებითი ხმით დედა-ჩემსა. ის მომესვია, ჩამიკრა გულში, დამიკოცნა ტუჩები, თვალები, შუბლი, ყურები, ერთი სიტყვით რაც კი სასეზედ მიჩანდა, ყველაფერი ზ თანაც ცრემლები წამოსცვიკდა.

— დაცა, შვილო, ჯერ ამით გამაოეთსოვე, დამასა მეორე კუნჭულიდგან ბებია ჩემმა ზ მოაკლო ხელი სატებს, უნდოდა მოე-ტანა ჩემთან და ისე ეკოცნინებინა მათთვის. მე ან დავაწალე მას,

რომ დაეძრა სატები ადგილიდგან, მიველ თვით სასატეს წინ დავიხრქე, გადვიწერე საწმუნოებით სავსე პირფარა და გემთხვიე.

დავეცინე ბებიაც, ძმაც, სიძეცა და დაც და მეცე კი მრკაფრინდი ცხენს და მაგრად ამოგვარ ქუსლი, რომ მალე, მალე მომეშორებინა თავლი დედა-ჩემისთვის, რომლის ცრემლები მე გუფ-ღვიძლს მიშუშსავდნენ. გამოშორებით კი გამოვშორდი ჩემ სახლ-გარს, მაგრამ დაღონებული სახლობა კი მანც არ მშორდებოდნენ თავლიდგან. ყურებიდგან არ გამოდიოდა მათი ხმა: მშვიდობით, მშვიდობით მოგიყვანოს ღმერთმა და ჩვენმა სალოცაჲმა, ჩვენო გიორგიო. მე ისიც მეჩვენებოდა, ვითამც მრთელი არე-მარე, რომლისათვისაც კი მე მქონდა შეჩვეული თავლი, სულ ჩემსედა დაზარალებდა. ყოველი ხე, თუ ტყე, ფრინველი თუ ოთხფეხი, ქვა ზ კლდეც კი—ყველა თავს მიგრავდა, მეთხრებოდა და თითქო იმსაც მეუბნებოდა:

— აბა, გიორგი, ვინძლო სასხელო შენი ქვეყანა და ჩვენც არ დაგვივიწყო.

— მშვიდობით! ვეუბნებოდი მეც მათ ჩემ გულში. მაშ მე იქ მოგვედე ზ ნულარც ეღირსოს ჩემ თავლებს თქენი ნახვა, თუ მე თქენი თხრენა არ ავასრულო, თუ მე თქვენ დაგივიწყოთ.

მაგრამ... ვინ იცის, იქნება კიდევ ვეღარა გნახოთ, დაკატანე ზედა. იქნება ეს უკანასკნელი ნახვა იყოს და გამოთხოვანც. გამიულა თავში ამ ჭსრმა თუ არა, მაშინათვე გადმოვსტი ცხენიდგან და სამი მუჭა მიწა ჩავიყარე ჯიბეში. ვსთქვი: წავიღებ თან ამ ჩემი ქვეყნის მიწას და უკანასკნელ ჟამს თვით მევე დავიყრი ამას ჩემ გულსედა მეთქი. ამიხვილ-

და ახლას კი გულის... მაგრამ მალე მივასწრე ჩემ თავს და შევ-
ტრუქსე ამისათვის:

— ფუ! თუ არა გრცხვენინან — ვუთხარ მე მასა. რას ამოხ
მაგას? რას შეტყობი? განა მე იქ მოვეკვდები? განა ველარ და-
ბრუნდები და ვერ დავსდგამ ფეხს ჩემს სამშობლოს ნიადაგ-
ზედ? არა, ეს არ შეიძლება! სამართალი აღარ ექნება მაშინ
ღმერთსა, რომ ეს ასე მოხდეს. სხვა არა იყოს რა, დედა-
ჩემის ცრემლი ადღეულებს ქვეყანას!... არა! მე იქ არ მოვეკვ-
დი, მე ისევ უზნეობათ, ცრცხალი დაბრუნდები იქიდგან!
ვამაგრებდი ასე ჩემ თავსა, გულის ვიბრუნებდი; მაგრამ მიწა
კი მაინც თან წავიღე ზ უკან გამობრუნებადინაც ისე უფრო-
ხილდებოდი, როგორც სინიდისსა და ჰატოისნებას.

თბილისში იმ საღამოსვე ჩამოვედი. ცხენი, როგორც იყო,
გავატანე უკან და მე სემინარიაში შევედი. აქ დამხვდა ანისიმე
და რაღაც სხვა ამხანაგი: ერთი — მამაცაშვილი, მეორე — მოსიძე
მამაცაშვილი ადგილს ეძებდა, უნდოდა ერთ წელიწადს მასწავ-
ლებლათ სადმე შესულიყო. მას ქებოდა განმრავალა — ამ წელი-
წადში გადაენახრუნებინათ თითო ორთულა გროში და წლის შემ-
დეგ რუსეთისკენ გამომგზავრებულყო, უნივერსიტეტში შე-
სასვლელათ.

მოსიძეს ნათესავის შემწვობით ადგილს კარგს აძლევდ-
ნენ სუდის ნაწილში.

მეორე დღესვე მე და ანისიმემ ავიღეთ ჩემთვის ბილეთი და
ფურცუნიც ვნახეთ, რომელიც ვლადიკავკასს მიდიოდა. დავი-
ჭირეთ ერთი კაცის ადგილი ოთხ მანეთათ. სამნივე ამხანაგ-
ები გამომყვნენ მე გამოსაცდილებლათ. როცა ფურცუნი დაიძრა
ადგილიდან გამოსასვლელათ, ეს იყო სამხრობის დრო, ამ-
ვედით კერამდი, რომ მე არაფერი გამიგია. როცა მოვედით

თეთრ ღუქანთან, აქ შეაყენა მეფურგუნემ ცხენები და ლოდონი დაუწყო ერთ უკან დარჩენილ მგზავრსა. ამით მე ძრვიელ ვისარგებლე. გადმოვიღე მაშინვე ფურგუნეიდგან ხურჯინი და კუთხარა:

— ახა, წამოდით, ძმებო, და ერთი გზა დამიღოცეთ.

ფეხი შეკდგით ცოტა წემთ, მინდვრისან ადგილზედ. და შემოვესვივენით ამ ხურჯინსა. ამოვიღეთ დედალი, რომელსაც ნაფერდლები გარეთა ჭქონდა გადმოყრილი, გაკვლიჯ-გამოკვლიჯეთ და დავიწყოთ ყბის მოქნევა. მოუსუნ ტიკტორას პირი და, რადგანაც სტაქანი არა გქონდა, პირს მივაადებდით ხელმე მასრასა და ისე ულანწა-უღურწით მიველალებდით წითელ ღვინოსა.

— ღმერთმა მშვიდობით გვაჩვენოს კიდევ ერთმანეთი, წამოსთქვა მამაცაშვილმა, შედო ფეხი დიდ ქვაზედ, დაიღო მუხლზედ ტიკტორა და ისრე მიიტა პირს მასრა.

— ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს, მშვიდობით გაგატარებინოს ოთხი წელიწადი და სასკლოვანათ მოგაბრუნოს შენა ქვეყნისკენ, მადლეგრძელა მოსიძემ და მამაცაშვილსავით დალია ტიკტორიდან ღვინო.

ბოლოს მიაწოდეს ტიკტორა ონისიმეს. მან გაათავა ჯერეთ ბარჩქანნი ლუქა, რომელიც ჭქონდა პირში, მოიწმინდა ტუჩები და სთქვა:

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო?! უფრო დამიგდეთ: ჯერეთ, ძმაკ, არსად იყო დარჩენი, რომელმაც ესე ააყუანა თავიზედ მრთელი ქვეყნის და არც იმისი შაშა, რომ ქართულ ხალხს ბრძოლათა ჭქონდა გამოსატრული ქვეყნიურა ცხოვრება. ამ ბრძოლაში, რაც უფრო აუცილებლათ საჭირო იყო, გამარჯობასა ნატრობდნენ ჩვენში ერთი მეორეთათვის. «გამარჯობა



შენი» ეუბნებოდა ქართველი ქართველს, შესვედრის დროსა. «გამარჯობით გამოეფოს ღმერთმა!» ეუბნებოდა მას იგი გამოთხოვნის დროს. აკეთი საღამო, ვგონებ, არც ერთ საღესს არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ჩვენ ამას არც ჩაკვირვებივართ, რათა ვაგდებთ, ვივიწყებთ კიდევ. «გამარჯობის» მაგიერ ესლამში დღობას ვეუბნებით ერთი მეორეს: დღობობისა, შუადღე მშიდობისა, ღამე მშიდობისა, მშიდობით ბრძანდებოდეთ, მშიდობით გვენახოს ერთმანეთი ღ სსვ. ჩემის ჰარით ეს იმის ნიშანია, რომ . . . სიმშიდე, სიწინაძე, გაუნძრეკლობა, განცხრომა . . . არის, ჩემო ძმებო. . . რომ მოძრეობისა, მღვიძრეობისა, . . . მესვენებისკენ, განცხრომისკენ, . . . მიველტებით; გამარჯობის მაგივრათ, მშიდობას ვნატრობთ ერთი მეორესთვის . . . ვინატრით ერთმანეთისთვის . . . „გამარჯობა“, რომელიც . . . საჭირო და სანატრულია. კეთილს გზაზედა სდგენარ, ჩემო გიორგი, ჩემო ვარგო ძმაო და მეგობარო, ღმერთმაც გაგიმარჯოს! ამ სიტყვაში ყველაფერია ნათქვამი, ყველა კეთილია გამოხატული. გაგიმარჯოს ღმერთმა ჩვენც—ყველა ჩვენ კეთილსა და სასარგებლო განძრევაში! განძრევეროს მან ჩვენში ზეცაური ცრცხლი, კაცური ჰარით ღ მისცეს მათ გამარჯვება!...

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს!! გაგიმარჯოს!!! შევევირეთ ყველამ თითქმის ერთ ნებით და თანაც დავატანეთ: სიკვდილი ანუ კეთილ საქმეზე თავის დაღებაო.

„ჯობს სიცოცხლესა ნაძრესსა, სიკვდილი სასულოვანი“.
— წარმავსთქვით ყველამ ჩვენი უკვდავი რუსთაველის სიტყვები, დავგონებთ ერთმანეთი და გამოვეთხოვეთ ესრე ერთმანეთსა.

XV

ჯეროთ, სანამ ისევ არაგვის სეობაში ვიყავი, არაერთი მიმაჩნდა, რომ ზურგს შეუქცევდი ჩემს ქვეყანას და რუსეთისკენ მივდიოდი. მართლი ჩემი უურაღლები მიიტაცეს იმ ძველ-ბურჟუაზიან შენობებში, ბურჟუაზიისა და გლეხების ნანგრევებში, რომელნიც აქეთ-იქიდგან გამოიყურებოდნენ ჩათხრობილი სასიით და გულ-საგლავ ამბავს მოუთხრობდნენ ადამიანს წარსულის დროებიდგან. სიამოვნებით გადავკვლე თვალი ვაიშაურის მინდოვსადაც და უფრო იმ ადმართს, სადაც გამხეობი შეებოთ ლეჩმონტოვისთვის პოპოვსკაში და ისე აეტანათ მალა. ის გზა ესაა სულ-აღებულია. წყალზედ გადასასვლელი გზა ესაა ზემოთ არის აწყული. მთის ადმართს შესდევს მშვენიერი, ტაშივით სწორე, გატკეცილი გზა.

დავადექით ჩვენც აი ამ გზა-ტკეცილსა, რომელსაც შეუმტნევრათ სულ მალაა და მალა მიუყვანდათ. მარცხენა მხრისკენ, სერებსზედ მოხანდნენ აქა-იქ სოფლები, რომლებიც სასა-ფლავებს უფრო ჰგვანდნენ შორიდან, ვიდრე სოფლებს, ცოცხალი ადამიანის საცხოვრებელსა. ეს ასე იმისათვის უფრო მეჩვენა მე, რომ თვალი მქონდა შეჩვეული ჩემი ვაკე საქართველოს სოფლებისთვის, რომელნიც ვენახებში და ნიკვზის ხეებში არიან ხოლმე ჩამალულნი. ამ სოფლებში ვი სეც არ მოხანდა, უბრალო რამ სეცა. შევეურებდი და საკვირველებიდგან გამოვდიოდი.

— ნუ თუ აქაც შესაძლებელია ცხოვრება? ვამბობდი მე. ნუთუ აქ მცხოვრებთათვისაც სიცოცხლე სიცოცხლეს ეკვანება? და თუ აქაც შესაძლებელია ცხოვრება, თუ აქაც შეიძლება სი-

ცოცხლე იგრძნოს აღმდინამა, მაშ იქ, დაბლა — ჩემს მიწა წყალში, სადაც უხვი კალთა აქვს ჩაბერტყილი ქრისტე ღმერთსა, როგორი უნდა იყოს იქ აღმდინანის სიცოცხლე? რათ არას აქაც სიღარიბე, კეთილ-ცხოვრებისა და გულ-უხვობის მაგიერ? რათა აქვს აქაც გრძე მიწი გამდგარი სისაწყლეს, სიგლანაკეს, ვაგებსა და მწუხარებას?...

რამდენათაც ზევითა და ზევით ვიწვედით, იმდენათ უფრო ვაწაწინა რამეთ მხრეებოდა ჩემი თავი. მე, რომელსაც ქვეყნიერების ბატონს მეძახიან, შიში შემეპარა ტანში. ასე მხრეებოდა, რომ ამ შესასარებელი თვალებით, ესე გულ-გასასეთქავათ, მე მიბლვერიან აქეთ-იქითგან ეს თმა გათეთრებული, უძის გადასული, არსენით ერთ აღაგს მსხდომნი და შორიდგან ერთმანეთთან ტებილათ მოსაუბრენი, მდგეპბავით უშეუღლებელი მთები მეთქი.

— რა უნდა ქნას აქ უმეტრამა კაცმა? ვითსავდი ჩემ თავსა. ანუ რა უნდა ყოფილიყო აქ პირველ დროებში აღმდინანი, როდესაც მე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებს, ეს საქმე მეძარტება? მოდი და სთქვი, რომ ბოკლი ტყუვილსა აღაპარაკობსთქო! მოდი და გაამტყუნე შენ ისა, პირში ჩაღა გამოაკლე, რომ ბუნების სასიერებას არავითარი გავლენა არ ქონია კაცობრიობის ჭკვა-გონების თვისის ადგმაში, მის წმინტებაში თქო!

ვიყავ აკეთ თქვებში გართული, რომელსაც დაუხსლოვდით იმ ადგილს, სადაც ჯვარი დგას და რომელსაც რუსები „ქრისტოვი გორას“ უძახიან. ამ გორას გარსა აქვს შემორტყმიული გზა. ვსთქვი: მოდი, მინამ ფურგუნი გარს შემოუვლის, პირ და-პირ ავალ და ვნახავ იმ ჯვარსა და იქიდგან დაკეშვები მეთქი. ვსთქვი და ავასრულე გიდეტ. აველ, გარს შემოუარე

ჰვარსა და აი რა ვნახე: ის ადგილი, სადაც ეს ჰვარა იდგა, იყო ქოჩოჩი იმ გადასავლისა, მიჯნა, რომელიცა ჭყოფდა თერგის ხეობას აჩაგვის ხეობიდგან. თერგის მხრივ ქვანუდ ეწერა რუსულათ: „რუსეთი“, აჩაგვის მხრისკენ „საქართველო“. მე ტანში მოვსწყდი, როდესაც ეს სიტყვები წავიკითხე. ახლა გი ცხადათ წარმოგიდგა — სად ვიყავ. რა ადგილზედ მედგა თუხი. მაშინ, ჯერეთ ის ან ვიცოდი, რომ თერგის ხეობაშია ც ქართველები სტროფობდნენ და ეს ადგილი მეტონა მართლ მიჯნათ საქართველოსა და რუსეთს შუა. მივეუღდე ცოტა ხანს ამ ჰვარსა, პირი მოვიბრუნე აჩაგვის ხეობისკენ და თავი მივეც თეჩქსა.

— ახლა გი უნდა მართლათ გამოგეთხრო, ჩემო ქვეყნავ, ვუთხარ მას ჩემ გულში. უნდა ახლა შენგან გადავიდე სხვა მიწა-წყალში, რომელიც, ან ვიცი, როგორ მიმიღებს, რა მასწავლობას გამიწევს, სადაც უკვლავთ ჩემთვის სულ ნისლში და ბურხანშია გასვეული.

ვიდექ, გასტეკებული თვალით ვაცქერდებოდი მთის წვერებს, ღრუბლებს და უფრო იმ კუნჭულს ცისას, რომელიც სამხრეთ დასავლეთისკენ მოჩანდა და თითქო იმასაც ვეხვეწებოდი მათ, რომ გასსოვდეთ ჩემი თავი და ან დამივიწყეთ მეტი. ვიდექ ესე ათ მინუტადე, ვალერსებოდი ამ ცასა და ღრუბელთა და უფრო იმ მიწა წყალს, რომელსაც ისინი მალდიდგან დაჭყურებდნენ. ვნატრობდი გულში, რომ ეს დრო ზატა გავრძელებულიყო. მასსოვს ჩემი ზატარობა, უფრო ის დიდა, როცა, დათხონის შედევ, უნდა შამოკესვი მამა ჩემს ცხენს უკან და წავუვანე შეოლში. როგორც მაშინ ვიწებ ხოლმე ლოგინში სულ განაბული, ვიმძინარებდი ტუფილათ თავსა, რომ მალე ან ამყენონ წასაყვანათ მეტი, აი ესლაც



იმისდა მსგავსათ, უუჩი მოვიუტრუე და არ მინდოდა გამეგონა მახილი: წავიდეთ, წავიდეთო. მაგრამ დიდ-ხანს დარჩენაც არ შეიძლებოდა.

რომ დადგა ის წამიც, როცა შიჩი უნდა გამოემბრუნებინა, ფეხის ჩლიქებსუდ შეკდექ, მინდოდა, ჰატა კიდევ იქით გადაემხედნა. ამასთან შევსძახე:

— შშიდობით!

უნდა დამეთავუბინა: „შშიდობით, ჩემო ქვეყანავ“, მაგრამ აქ მომაგონდა ონისიმეს სიტყვები და ენა მოვიკვნიტე.

დავაზიჩე მეთქვა:

— მაშ გამარჯვება, ჩემო ქვეყანავ! . . . ? შეძლებ თავი გავანებე „გამარჯვების“ თქმასაც.

ბოლოს დავაზიჩე მეთქვა:

— ნახვამდის, მაშა, ჩემო ქვეყანავ!.. მაგრამ ეს სიტყვები კიდევ არ მომეწონა. ამათში ქართული გულის მოსახვედრი რამ ვერაფერი შევნიშნე. ამიტომ თავი გავანებე ამათაც საჩქაროთ.

გავჩერდი ერთ წამს კიდევ... მერე კი წამოვიძახე:

— იტოცხლე, ჩემო ქვეყანავ! შევსძახე მე ესა და თანაც მარჯვენა მკლავი მაღლა გავიშვიტე, . . .

— იღლებრძელე, ჩემო კარგო ქვეყანავ! დავაფლე ზედეკ და მერე კი გამოვბრუნდი უკან, ანთებული სახით, ადრულებული გულით.

არ გადმომიდგამს ათი ბიჯი, რომ შეკდექ... მოვბრუნდა ისევ უკან და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ერთი კიდევ შევსძახე:

— იტოცხლე, ჩემო ქვეყანავ, იტოცხლე სანუგეშოთ ჭ თავ მოსაწონათ შენის შვილებისა, . . .

დავკარგდი იქვე დედა-მიწას და სამჯერ ვაკოცე მას. გი-
ყისავით წამოკვსტი და სიბზილით დავკეში მკერე მსარესკენ:
კარგა ხანს, უკან არ მომისუდნია, თითქოსა და იმისი მშინე-
ბოდეს, რომ სული არ წამომდეს ვინმემ უკანდგან და არ
დამიჭირებს მეტეი. როცა კარგა დავიღაღე, მერე კი შევდექე,
სული ამოვითქვი და თუძცა არ მეძღერებოდა, მაგრამ ძალს
დავატანე ჩემ თავს და დავიწეე „მთვარის“ სმაზედ:

*
*
*

დაწეებით კი დავიწეე მე ის სიმღერა, მაგრამ ბოლობდი
გატანა ველარ შავძელ. შევნიშნე, რომ ჩემი სიმღერა ტირი-
ლათ გამოდიოდა და თავი გავანებე. მამინ მე ეს კი წამოკვს-
თქვი, ჩვენს ბარათაშვილთან:

„გასწი, მერანო, შენს ჭენებს არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეტ ფიქრი ჩემი შავათ ძღელვარი!
გაჭკვეთე ქარი, გააბე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გაჭსწი, გაგურცხლე და შემიძოკლე მოუთმენელსა სავალი
დღენი!...“

XVI

დავეშვით თერგის ხეობაზედ. თერგმა, მარტლათაც და-
მოუსვენარმა, ყურები წაიღო. საშინლათა ბლაობდა, ყვიროდა,

და ბანს აძლევინებდა თავის ხმისათვის მრთელს აჭე-მარეს. მე ასე მეგონა, რომ მყინვარს ეჩხუბება, უჯავრდება და კოჭებშია ციმბისთვის სწვდება და უღივინის, რომ რათ ხარ შენ მაგეთი უგულო, უგრძობელი, რატომ ხმას არ ამოიღებ ქვეყნის ვაზბაზედ, მაშინ რადესაც ყველასზედ მაღლა შენ ავიწკვია თავი და ყველასზედაც მომეტებულს შენ უნდა სედავდე — თუ რა უღმერთობა ტრიალებს ამ ცოდვიდგან დამძიმებულს დედამიწის ზურგზედ... მიხდოდა შორიდგან მანც დამენახა — რა სახისა იყო ეს თერგის გულზედ მომყვანი, მის გამტროვანებელი მყინვარი, რომელსაც ახლოდგან მიუკარებლობასა სწამებენ, მაგრამ მე ეს ვერა და ვერ მოვასუერსე. იმ დროს მყინვარის გარსა ქქონდა, შემოტყეული ღრუბლები, კაცს ეგონებოდა, ვითომც თერგის ჯავრობა ახლა კი ასულიყოს მის ყურებად, ვითომც ახლა კი სირცხვილი სწვავდეს მას და იმისთვისაც ზირზედ ხელს იფარებს. მაგრამ მყინვარს, რომელიც ცას თავისთან დაუნსლოვებია, აუმაღლებია, რომლისათვის ჩაუტყვია სპეტაკი სამოსელი, არა მგონია, რომ ქქონადეს შესარცხვენი რამ წინაშე ქვეყნისა. და თუ ღრუბლები გარს შემოესვია — ეს იმისთვის, რომ აზვარისს სთხოვდა მათა, თუ სად დახარჯეთ თქვენ მავან-და-მავან ღვთის გამოგზავნილი წვიმაო. აკეთი თანამდებობა მას თვით ციდაც აქვს ჩაბარებული...

ჩაკვდით გლადიკავკასში. გამოგზავნე იქიდან დედასთან წერილი კარგათ მოგზაურობაზედ. დავსწერე შექმნილი ორიადე სიტყვა ონისიმესთანაც:

თუმც მარტოშით წამოსულმა
გზასზედ მოვიფასეო;

მაგრამ მაინც თვალ წინ მედგა
ჩემი ტურფის სასკო.

*
*
*

უნახველი ბეჭი ვნახე,
მთებიც გადმოკლასკო
და მათი აღბეჭდილება
ღრმით გულის ჩავისახკო.

*
*
*

დღეს პირველათ განვიხილე
რუსთ ქალაქის სასკო,
სახვალთათ ზღვა მიძახის:
„მოდო, ჩქარა მნახკო.“

შენი გიორგი.

ვლადიკავკასია ვნახე ერთი ვაჭარი სომეხი, რომელიც
მაკარიაზედ მივიდოდა. იმან დამარწმუნა, რომ კასპიის ზღვით,
ვოლგით და ნიჟნიდგან კიდე რკინის გზით უფრო სასერსოა
და საადვილოც, ვიდრე მეორე გზით, ე. ი. როსტოვზე წა-
სვლაო. თუმცა შორსა სჭრიდა გზა, მაგრამ იმ ანდაზის ძა-
ლამ, რომ, შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო; თავი
გამანებებინა წინანდელი განძნახვისათვის და გავუე მას ზეტ-
როვსკისკენ. ვსთქვი: ეს კაცი გამოცდილი, ნატარი კაცია, ამას-
თან მე ანათერი მიშავს რა, სხვა არა იყოს რა, ხმის გამცე-
მელათ მაინც გამომადგება ამ უცხო ადგილში, უვალს გზა-
შია მეთქი.

მეორე დღეს ზეტროვსკში ჩავუვით. ჩავსვლით ერთ ბა-
ჭადგან წამოსულ გემში, რომელსაც „შახს“ უძახოდნენ სასკე-



ლათ. ავეღით აშტრასანში. აქ დავიწინით ერთი მთელი დღე და მეტეს მდინარე ვაღლით გავსწიეთ ზეგითა. თუ რა სინქარით ამოკუთვლით სოფლე თავს ერთი ქალაქიდგან მეორეში, ამას მე თითქმის ვერც ვი ვნიშნავდი. ეს იმისათვის უფრო მეტე-ნებოდა ასე, რომ ასლა ვი მავრა ჩაჭვიდეს თვისი კლანტები ჩემს ტვიხს ათ-ას ნაირმა მასოფოთარმა ფიქრებმა. ხან-და-ხან ვი რცხება გამიტაცებდა სოფლე, შემოყვანდა თავის ფართო და განუსაზღვრელ საბრძანებელში, დაკვირვებდა მასში თავისუფლათ და წინ მიშლიდა ფერად-ფერად სურათებსა. აი წარმომადგამე, რომ ვითომც შეველ ვიდრე იმ ქალაქში, რომლისაკენაც ვარი მეზნდა მიქცეული, რომ დავიჭირე ვიდრე კვამენის და მიმიღეს აკადემიაში. მეტეკნებოდა, რომ მე აი ვიწერები ვიდრე წერილებს ჩემს ქვეყანაში და შიგა ვიღებ ამ — უკვლასათვის სასიამოვნო და უფრო დედა-ჩემისთვის სასიხარულო ამბავსა...

რცხებას უფრო იქით მივეყვანდი. ჩემს თვალ-წინ დგებოდა ის სიღრმისეული სახე და იმედინი სასლ-განდობა, რომელშიაც მე უნდა შევკრულიყავ. მეტეკნებოდა, რომ ის სასლ-განდობა ელტოდა სასლ მანასს, ვადრეული ღვთიური ტრცხლით სახე იყო მისი გული და დღე და ღამ ეძებდა, ამსადგებდა იმ . . . , რომელსაც ვი შეუძლიან ვაებისა და ჭირის შემტარება ქვეყნიერებაზე და ღსინის მამატება დაჩავრულადამინისთვის. დაუცხრომლათ ფიქრობდა იგი ბორბობის მოსპობაზე, უმეტრების დაბლა დაცემასზე, სიძარბისა და ჭეშმარიტების მოფენასზე, . . . მე მესატებოდა თვალ-წინ შრო-ფესობრიც, რომელიც იჯდა კათედრასზე და რომლის ენითაც ლაშარაკობდა თვით სიბრძნე, მეტნიერება, ჭეშმარიტება. აი გაათავა მან ლექცია. გამოვეღით გარეთ სტუდენტები და სალაშარაკოთ გახდა შროფესობრისგან სალაშარაკევი. ზოგნი,

თითქოს კარგათ ვერ გაუგიათ მისი ჭასრები, თანახმანი არ
 აჩიან შრომისადაც. ზოგნი კი მათ წინააღმდეგობას უცხა-
 დებენ. ასტყდა ამასე ბასი. მე ჯერ ხანობით არას ვამბობ,
 თუმიცა კი თქმა მეც მინდა წაღაცისა. ვარ განუძებული და
 ყურს უგდებ ყოველ მათ ცუტსდით სამსე და მახვილი ენით
 გამომთქმულ სიტყვას. ვუცდი—არა რომელი უფრო უკეთესათ
 დამტკიცებს თავის ჭასრსა და თანაც ყურს ვადევნებ, თუ რომე-
 ლი რა ცოდნის პატრონია, აი ელებს ბოლო ამ ლაპარაკს. გა-
 მოიკვლიეს ყოველ მხრით სალაპარაკო საგანი. დამარცხებულს
 დიმიდი მხედის ტუჩებსეც და იმავე დიმიდით ეუბნება თავის
 დამარცხებულს—კარგი, შენ მართალი ხარ და თითსაც იკა-
 ვავს. მე სიტყვასს მიმატებს აგეთ ცხოვრებაში ჩავარდნა,
 ბედნიერათ ვგრძნობ ჩემ თავსა, ედემის შუა გულში მგონია
 ჩემი თავი. ვაწერები წერილებს სემინარიაში, ვიწვევ ყველას
 იქით, ამ სიტყვების ტამბისკენ, ამ უკვდავების წყაროს და-
 სწავლებლათ...

ამასაც არ მაჯერებს ოცნება!... მას უფრო იქით მივეუ-
 ვარ.

წამომიძვრა, რომ აი გუჩსიც შევასრულე და განსრუ-
 ბული გუჯით ვბრუნდები მე ჩემი ქვეყნისკენ. მიდგება თვალ-
 წინ ის სიხარული, რომლითაც აივსება გული საცოდავი დე-
 დი-ჩემისა, რომელიც მე გამომთხრონის დროს თვალ-ცრემლია-
 ნი დავტოვე. მესატება ისიც, როგორც სიხარულით მეტებე-
 ბიან ჩემი ნაცნობები, ამხანაგები, როგორც ხელს მართმევს,
 თავისკენ მივევარ მე ჩვენ პატრონსა — მუშა და დაწინაურე-
 ბულ ხალ-გასდობას. მეც თამამათ ვართმევ ყველას ხელს,
 სწორეთ უუურებ თვალბში თვითთუჯს მათგანს, წადგანაც
 ვხედავ, რომ



მეტწიერების ჩახჭანი მსურავს,
 ტანსუდ მაცვია მისი აზვარი,
 მარტო რაშს უცდი, თორემ ხელთა მაქვს
 ფაჩ-ხმალ ისაჩიცი მეტათ მაგარი!....

ახლა კი გეყოფათ, მითხრა ოცნებაში, მერა წიხლი და
 ისე გამაგდო თავის საბრძანებლიდგან. მე ჯერედ თვალებზედ
 ხელი მოვისვი, თითქო—მძინებოდე, მერე კი მევე გამეცინა
 ჩემს თავზედ. ვსთქვი: ეშმაკებს ღვინო არსათ ჭქონდათ—ტი-
 კებს პირს უღობდნენ,—ამისი არ იყოს, სად მიხვალ, რაზედ
 ჭფიქრობ, შე რხეო ჩემო თავო! ჯერეთ მიგიღეს კი, რომ
 შენ გურსი შეასრულე კიდეცა!! ანუ, იცი კი, რომ მიგიღე-
 ბენ?!...

მართლა, რა მეშველება, რომ ვერ დავიჭირო ეგზემენია?
 კვითხე ჩემ თავს და გადამერა სახესუდ მამაკვდავის სვიმის
 საით წავიდე მე მაშინ? როგორღა გამოვბრუნდე უკან ესე შე-
 რცხვენილი და თავ-მოჭრილი? როგორ დაუენახო ჩემს ქვეყა-
 ნას? როგორ ვახეენო პირი ჩემს ნაცნობთ, მონათესავეთ?
 ამ კითხვებმა მე თავისი დამმართეს. ჩამომაცაღეს პირიდგან
 სახე, დამიწყეს უღიერი ტანჯვა, ააგლიჯეს ჩემს თვალებს
 ძალი და ყოვლის სიცოცხლის ნიშნებსაც დამიგარკვიდნენ,
 რომ აგეთ ყოფაში იმედს სრულიად განვეწირე და ხან-და-ხან
 არ მოვესუღიერებინე. ზატარა რამ იყო ეს იმედი, მაგრამ
 მაინც იგი იყო ჩემი მანუგეშებელი, ის მიბრუნებდა სიცოცხ-
 ლეს. არ ვიცი, რა დაემართებოდა ადამიანს ამ ქვეყნიერობა-
 ზედ, რომ ეს ცხოველს მყოფელი იმედი მას თან არ დაჭყო-
 ლოდა! რა უნდა ყოფილიყო კაცისთვის უიმედო სიცოცხლე?!

განა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ ხელის განძრევა, რაიმე კეთილისკენ ლტოლვა? *)

† მიხეილ იოსებისე ასათიანი.

*) ამით თავდება პირველი ნაწილი ამ მოთხრობისა. მეორე ნაწილში განსვენებულ ავტორსა სურდა გამოენაცნა ჩვენებური ახალგაზდობის ცხოვრება რუსეთში, მისი ჯანფეხითა და სინარულით, მისი საქმეებით და წადილებით,—მეტადრე შესანიშნავი და ძვირფასი რამ არის თითონ გიორგის წერილები სამშობლოში მეგობრებთან. მესამე ნაწილით ავტორს უნდოდა აეწერა უიმედო, უფერული და დაცემული მდგომარეობა სამღვდელელოებისა, სადაც ონისიმემ წაყო თავი.—ისა, თუ რამდენი ცუდი თვისებანი არიან აღზრდილნი ამ წოდებაში, როგორ პირსა აქვს მათ შორის პატივი და დიდება,—რას ჩაიდენენ ბლალღინები, როგორა ზდევნიან ნამუსიან და ნასწავლ ამხანაგებს და ათ-ასი «დანოსებით», ენის ლაქლაქითა ჰლუპავენ მათ, რომ ასეთი პირნი არ გადუღებოდნენ ხოლმე გზაში და არ უშლიდნენ ქვეყნის გაცარცვას და გარყვნას. ამ დასში, რასაკვირველია, ყველაზედ ძლიერა ზედებოდა იმ არხიმაშენიკს, რომელიც დაუძინებელი მოსისხლე მტერი იყო ავტორისა, ამ თავ-განწირულა და პატიოსნებით სავსე მოქმედი კაცისა და რომელზედაც განსვენებულ მ. ასათიანს დარჩა ლექსი ასეთი დასაწყისით:

«ღრიალაზე სახლი მიდგა,
ვარ ცნობილი ბლალღინი;
ყველგან ვამბომ: მე განლავართ
იმერეთის თვალის ჩინი» და სხვანი.

უნდა აღეწერა ის ფოფოხეთი, რომელსაც შემოახვევენ ხოლმე თავზედ პატიოსან მოქმედ კაცს ათ-ასი კლიაუზნიკები და მაშენიკები. უნდოდა დაეხატა ის ტრაგიკული სურათი, რომელშიაც თითონ ავტორი ჩაუარდა სასწავლებლის შედამხედველობით. უნდოდა თავზე ლაფი დაეხსნა გაზეთი «ღროების» ბრიყვი, უგუნური და დამნაშაური მიდგომილობისთვის ასათიანის მტრებისადმი; მაგრამ სიკვდილიმა აღარ დააცალა და ამაუბიდგან დარჩა მხოლოდ შენიშვნები, თითო-ოროლა ადგილები. რედ.



ვაიპარტი.

რით ანა ვარ დიდი კაცი?
 თუძცა ცოდნით ვარ ნაკლები,
 მაგრამ, როგორც ცხვრებში ვაძი,
 ვარ თითითა სანჯენები.

დანს, კაცი მე განჯავარ,
 მალე მივხდი ქვეუნის მიზანს,
 უადგილოთ არ დავდივარ,
 კარგი საქმე ხელთ მიჭინავს!

რაგი გავიცან ცხოვრება,
 დავადექ მის ფართო გზას,
 უარ ვუვ ჭეშმარიტება,
 არ მივხედე არ ვის სხვასა.

თავის კერით ღ შურგის დახრით
 ვბრტე მტირედი ადგილი,
 შევიძვე ქუდი კაკარდით
 და შემიქნა გზა გასსნილი!

მადლობის მოსახსენებლათ
 უფროსთან ცოლი გავგზავნე,

მისი საუნჯე ფეშქაშათ
 რიგისებრ თან გაკატანე.

ჩემს იღბალზედ მალე მოკვდა
 უფროსისა თანაშემწე,
 მისი ადგილი მე შემხვდა,
 რა უფროსი მუავდა შემწე.

ამასაც გაუწიონ ღმერთი —
 რევიზორი თავს დაეცა.
 გაუმეღაუნდა საქმე ერთი...
 უფროსობა მე მამეცა.

შევიქენ მზრის მმართველი,
 მივეღწიე ჩემს მიზანსა:
 ტან-წვრილი — გაკხდი ტან-სქელი;
 მითხარ, რაღა სჯობს ამასა?!

არ ველი ადგილს უმაღლესს,
 ვერც მისწვდება ჩემი ტოლი,
 ამას კი ვერ ვინ წამართმევს,
 თუ მიტოვებულა ღმერთმა ტოლი.

უჩქოს რქები გამომესხა,
 ვიცი ისიც — ვის უჩქინო,
 თუ ვინმე ფული მასესხა —
 ნახავს, რომ არ ვარ უტვინო!...

ხალხური ლექსი.

ერთი გლეხი ვარ სანყალი,
 სხვა სოფელ მივალ დასთანა —
 იქ ზური უნდა ვიუილო —
 გამოვიკვებო სამთანა.
 შუა გზასეუ დამიღამდა,
 შეველი მივიტანთანა.
 ერთსა ერქვა ასატურა,
 მეორეს ერქვა ვართანა.
 იმ ღამეს ისე დამიხედნენ,
 რაგორც ძმა მივა ძმასთანა.
 მეორე დღე რომ გათენდა,
 ფიტხლავ წამოდგა ვართანა,
 ამსანაგსა ხელი წაჭკრა
 სომხურათ სიტყვა გათადა.
 ადგა და ასატურამა
 ჩოტისა ხელი წაატანა,
 გულმა ძაგ-ძაგი დამიწყო —
 აქ რადაც საქმე მამხდარა.
 საღოკი თითი დაადო,
 გააქან-გამოაქანა .



ხუთი მანათი წამაწოვს,
 ერთი აბანი დამჩხადა,
 ისიც მიკიტანს გაღუგღე --
 „მაგის წამლებიც გამჭრავს!“...
 ამისი „ოტკა“ დამისნი,
 აგები გამევეს კაწთანა.
 ჩოტკო, გაგიწოვს გამეუთსი,
 რომელმა ხელმატ გაგთავა,
 აგასხა წინდის ჩხიწყდა,
 მიკიტნის დახლში გაგგზავნა!
 დავსწეველი, — აღარ გავივლი
 ჩემს დღეში მიკიტანთანა —
 ყოველი ჩვენი ცხრავება
 მიდის სულ ვაჭარ ხალხთანა.

ხალხური სიმღერა.

მე რა საზღაოს წაველი,
 ხელში ავიღე შოლტია,
 მეზობლებს გამოვეთხოვე,
 ჩამოვატარე შროშტია.
 მახსანსე ჩავიარეთ,
 წყალი იყო ძეცათ ძვირი.
 შატრქმადსა წყალი ვთხოვე —
 «წყალზედ არის ჩვენი ვირი»...
 ჯიბეში ხელი ჩაიყო,
 ამოიღო ლელვის ჩირი:
 „აჭა, უმაწვილო, მიიწოვი,
 ნახე, როგორია ტკბილი;
 სანამ ვირი მოვიდოდეს,
 ამით გაისველე შირი“.
 გაიტინა, გამიტინა,
 დამანახვა თეთრი კბილი.
 ჩუმჩუმათ ვეუბნებოდი:
 «შამყაროს შენი ჭირი».
 ჩემი ჭირი შენ რათ გინდა,
 საიდგან ხარ, ვისი შვილი?
 რომ წამოგვეკე, სად წამიყვან,

საით უნდა მიყო პირი?
— აგეთ ქვეყანას წაგიყვან,
უგადეს ყოველი სილი—
ილი, მისაკ-დაჩინი.
წყალი ახლო ჩამოგივლის,
აღარ მოგინდება ვირი.
დაიძინე დილის ძილი!.....

მეზავრის უნივერსალი.

დიდხანია გაგონილი მქონდა, რომ გოჩის მასწავლებელი, იზოკუბა ბეგრ-ნაიჩი მინერალური წყლები; მარტანტი, ტკინა, ფოლადი, ქვა-ნახშირი, ნავთის წყაროები და სხვა. ბეგრჯელ დავაზირე წასვლა, მაგრამ აქამდის ვერ შევისრულე ეს წადილი, თუმცა სამწელი კი არა იყო რა. ბოლოს, 14 აგვისტოს წარსულის წლისას, გაველ გორიდან იმ მთის სანასკვად, რომელსაც ქართველები უწოდებენ იალბუზის მთად.

ერთ ღამეს დავჩი ს. ტუვიავს, სადაც ცხოვრობენ თავად-აზნაურნი, გლეხნი — სომეხნი და ქართველნი: სოფელი ძალიან მშვენიერია, მთლად ბაღებში სდგას და მის მარჯვენა-ზე სულ გადარბილულია ასე, რომ გამკვლევი სულ ჩრდილში დავის. აქ შევიტყე ერთი სასიამოვნო ამბავი: აზნაურს იასე ფავლენიშვილს მთელი ახლო-მასლო სოფლები შიმშილიდან დაუხსნია. რადგან შარშან-წინ, 1880 წელში, კალიამ წასდინა მოსკვალი, გლეხობა ძალიან ნაკლებათ იყო წლის საჩხოზე. ფავლენიშვილი კარგი შეძლებული კაცია მამულ-ადგილით. გაუხსნია თავისი სიმინდის ძარები და სალხისთვის დაუჩიგებია. მითხრეს, რომ გლეხობა იდგა, თვითონ სტუკვამდა და მიქქონდა. ჩვენს სამაგულ და ტუდ დროში, ეს საკვირველ მოკლენად ჩათვლება, მეტადვე მოდესაც სიმინდი — კოდი ოთხ-სუთ მანათათ იუიდეოდ; მართალია, გლეხებ-

მა ისევ დაუბრუნეს სიძინდი, მაგრამ მიღების დროს ორ მანათათ აღარ ფასობდა კოდი. მამასადაძე, ფე—შეიღეს, კაცთ-მყოფაწყოების გამო; უარ უყვია ფულის მოგება და რუსთველის ნათქვამზე გაუგლია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭლისაოა.—აქვე, ტყვიანში, ვნახე, თუ როგორ იტყვნენ ჰატარა ღიანში თევზს, რომელსაც გემოთი სხვა მდინარეების თევზი არ შეედრება. ორი-სამი ბიჭი ჩადგება წყალში, ხელათ ყორეს გაავლებენ, ყორესე გადააფარებენ ფარდაებს და ისე მოსწყდება წყალი, თითქო კვლავ არც კი უღენია. უნდა ნახოთ მაშინ გუბებში თევზის ჭყაპუნი, სტუნვასა სასიამოვნოა! თუ აქვე მოხარშავთ ამ თევზსა და მიიროთ-მკვთ, იცოცხლეთ, რომ აქ ღაზათს ნახავს კაცი!

მიუახლოვდით ცხინვალს, რომელიც აქედან მისაკვალზე სასიამოვნო სანახავია: მთიდან გადაჭსვლად, ცხინვალის ვენახებში და ბაღებშია გაბმული, თითქო თავს-შემოკლებას უბირებსო; გვერდს, აღმოსავლეთიდან გამოუბნის შოგოთიანი დიდი ღიანვი და ლენტეხით ერტყმის ცხინვალს. რამდენადაც სასიამოვნო სანახავია ზემოდან, იმდენათ უსიამოვნოა, რომცა შიგ ჩახვალ—მირეულ-მორეულად აშენებული სახლები, დანგრეული ბოგიჩები, ოღრო-ჩოღრო ქუჩები. ხალხის ზნეობიდან გაგაკვირვებს შუა-ღღისას ხალხის ცაჭცვა, ოინბახობა, გაკილვა. ამ დროს აქ მამასახლისის არჩევანზედ ჭქონდათ ღაზახავი. აქ ისრე ძნელია სამამასახლისო კაცის არჩევა, როგორც იანვარში საზამთროს მოყვანა. რასაკვირველია, იმისთანა პირი დარჩა მამასახლისათ, რომელიც ამას წინათ იყო არჩეული და რომელსაც ხალხის საჩივრით გუბერნატორმა წინათ მუდღეი ახსნა და აქამომდე იმისი კანდიდატი ასრულებდა საქ-

მეს. დამატებებს ესლას ამას გუბერნატორი თუ არა, ეს არის
ინი იცის.

ცხინვალისგან იწყობა სამხაზლას. მთელი სამხაზლას
სოფლები გათქმულნი არიან მოსავლით, ხე-ხილით, ჭვარი-
თქელი ქართული გულ-კეთილობა კიდევ დარჩომილას აქა. ძველ
ნაქალაქეში, ესლას კი ზატარას სოფელ თამარაშენში, სცხვ-
რობენ თ. მხაზლები. თამარაშენი ქალაქათ უფთლას ვახუშტის
დროსაც, რადგან ის იხსენიებს ქალაქად. აქ ვახუშტი ი. გ. მხა-
ზლის ხელში ძველი ქართული ზარბაზანი წმინდა სპილენძის,
რომელსაც ზედ-აწერია სახელი თეიმურაზ II-ისა. ზარბაზანს
არც კარგი თამაშათ წაიღებს, სადაც უნდა.

მე მივდიოდი იმ მთაში, რომელიც ეკუთვნის მხაზლებს—
ბორტიშვილებს. წამომყვანენ თან თითონ მამულის ზატარონები,
სოფელს კვებ ზევით გზა იწყობა და ეტყობა ძველი ნახი-
დაჩი. ესლას აქ თვარჩის ხილია გაკეთებული. ს. მსხლებში და-
გვიღამდა. ეს სოფელი მალლობაზეა გაშლილი. მცხვრებლები
ძალიან შორი-შორსა სდგანან ერთი მეორეზე. უკვლას თავის
მამული მოთარგული აქვს წნულის ღობით. მცხვრებლები
სულ რსები არიან. აქ ვიგრძენით ცოტა სიცივე, აქვე გვიამ-
ბეს მიწის ნძრევაზე, რომლის გამოც ეკვლესიები დახეთქილ-
იყვნენ და რომელსაც ხალხი ძიელ შეეშინებინა. საცოდავებს
ჩამოგნებელი არავინა ჭყვავთ, რომ შიში გაუფანტოს. ზვენ
გუამბეთ მიწის ძვრას რისგანაც ხდება, რსებმა უფრადდება
მოგვაპურეს, სულ სმენად გარდაიქცნენ, მაგრამ, დაიჭურეს თუ
არა, მაგისი კი რა მოგახსენოთ.

ს. მსხლებიდან დასავლეთისკენ ჩახვალთ ხეობაში, სა-
დაც ჩამოდის მდინარე კოდა, რომლის წყალიც ისე ცივია,
რომ ერთს წამს კერ გაუძლებს ადამიანის ხელი, არც ისე წმინ-

და და შემტვრა, როგორც ლიასვისა. წყლის ძირში თეთრი კლდეა ჩივიანი. ძალდა მთაზე სდგას სღვერცხვი. აქ სტროკობენ 45 კომლი რსები. მარია:მობისთვეში ბარად ქოსავალი გლესებს გარწინ აქვს მიზიდული, აქ კი დიკა, ქერი, და სხვა ამ გვარნი ჭინჩასული ჯერ ისევ ბაღასივით იდგა. გავონილი მქონდა, რომ ამ სოფელში ძველი დიდი ცისეა. იმის ნახვა მინდოდა, ამიტომ ავედი სოფელში, სადაც გავიგეთ, რომ მიწის ძვრას ეს ცისე დაესეთქა, ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიყო. ეს ცისე ძველი შენობაა. რსებს სატროკობელ ოთახებთ გადაუჭრევიათ; მიწის ძვრის დროს, ზაღდა, ოთხმოცი წლის დედა-კაცი, დაეტანა ცისეს, მაგრამ მოერჩინათ ცოცხალი და დერეთანში უწკათ სელებ შესვეული და თვალე აგრული. სალსი უფრო მდებრობითი სქესი, საკვირველად ლამაზია, ეშინანი და ჭარკვანი. ეტეობა, აქეთ საიდუმლო ზოლიცისა ჯერ თესი არ შეუდგამს, რომ უკვლავ ქალს სულ წითელი ჰერანგები აცვიათ. სალსი ძიელ ბურადია; ერთმა მოხუცებულმა, სუტოთედეშვილმა გავვიპატიუა და საუტსროდ გავვიმასშინძლდა. სალსი ძალიან ჯან-მრთელია, ავად-მყოფობა იშვიათია, რადგან ბუნება ერთობ ლამაზი და საღია. სტროკობენ უკვლანი თავ-თავის მამულში. ჩხუბი, სოცვა ჯერ კიდევ მოდა არის რსებში. ამ დღებში ოთხი მოკვლათ საჩხავაში *). ამათში ქალები უფრო ბერით მხნეები არიან მამა-კაცებზე: ისინი უკვლან სახლს, ქსოვენ თივთივს, სტელავენ, ფოცხავენ. კაცები კი უფრო ლაზღანდარულს ცხოვრებას ატარებენ, მთელი დღე ან სმინავსთ, ან არა და დაუჭინავსთ არაყის და ლუდის უანწი და ჭყუჭყუებენ. უანწები ხისა აქვსთ და ისე ლამაზათ დათლილები, რომ გვერანებათ ბროლისა არიან.

*) ხარნავა—ქელესა ჰქვიან.



ს. ლვერცებიდგან შეეუდეთ მალა მთას, საიდგანად
 გადმოხედვა ზაჩის დამტყმის. მთლად ხეობები შემოსილნი
 აჩიან აყრილი მსხვილი ფიჭვის და ნაძვის ხეებით. გზის ზი-
 რებზე ტყეში სშირად ნახავთ მარიაშობისთვეში ბაღს, მარწყვს,
 ასე გაშინჯეთ, ტყემალსაც, მალინას და შავ სმოროდინას. ყვე-
 ლა ეს მცენარეები გაკულურებულია. ბაღი, ტყემალი ჯერ შე-
 მოურსულელი იყო და საშინელი მწიკე. მგზავს ან მოსწყინ-
 დება აქ სიარული, რაც უნდა დიდი გზა გაიაროს, ამიტომ,
 რომ ათ-ას-ნაირი სანახევები დასვდება, ათას ნაირი გასა-
 თობი სავნები, ათ-ას ნაირი ბუნების სიმშვენეიერე. აქ დაი-
 ნახავთ—ჩხრიალით გამოდის წყალი, იქ ხედავთ, რომ მიწი-
 დგან შადრევანივით ბჩილიანტის ფრად ამოხუხუხებს წყარო,
 მშვენეიერი წმინდა ანკარა და გასაოცრად ცივი. ბევრი ვინატრე
 თბილისის ქალაქისთვის, მაგრამ ჩემი ნატურა ამო დარჩა.
 თუცა თბილისში რაც გამოსაყვანი წყაროებია, ის რომ ითა-
 რს იქაურმა თვით-მმართველობამ და გამოიყვანოს, ისიც იკ-
 მარება, მეთქი, ხალხის ჯანმრთელობისათვის, ვსთქვი ჩემს
 გულში.

ზემო სსენებულის მთიდგან ჩასვალთ ფაწის ხეობაში,
 რომელიც იქაურ ხეობებზედ მდიდარია. — ფაწა მდიდარია
 თვესით — ორგულთ და კალმასით. უკანასკნელი იმდენია,
 რომ კაცი ფეხს ვერ აუჭევს. ოსები იჭერენ ორგულს შემ-
 დეგი იარაღით: გრძელი ჯოხის ორთითივით, რომელსაც ბო-
 ლოზე, თითებში გაყრილი აქვს გაღესილი დანებივით, ამითი
 სჭრიან ორგულებს ადვილად და იჭერენ; ისეც ადვილია იმი-
 სი დაჭერა, მაგრამ წყალში ჩადგომა ძიულ ძნელია მდინარის
 სიცივის გამო. თუ ჩადგებიან შიგ—ხუთი წამის შემდეგ იცე-
 ლებიან მოთვესები, რაც გინდ სიცხეც იყოს.

ამ მდინარეიდგან შეუდგებით მალღა მთას, სჯდაც არის გა-
 შენებულნი სოფელი ექმულთა, რომლისკენაც მისდევს ვიწრო
 ბილიკა. მთებიდგან გამოდის წყლები და ეს ბილიკი ისე მო-
 ლიწეულა, რომ ერთობ საშიშია სიარული ფეხითაც, ამი-
 სათვის, რომ, თუ ფეხი გადაუცილდა, ნიშანს კვლავ იზივან
 კაცისას, ისე დამტკეკვა იგი. სოფელი ექმულთა ძალიან ლა-
 მასია, სასლები სულ წმინდათ გაშალაშინებულნი ხისაა, ორთა-
 ეტაჟიანი. რიგზე აშენებულა, თითქმის ზღვანი სტეკიანთ სელშიო.
 გორის ორსიტეკტორი ბარაკსკი რომ ასე კარგ ზღვანზე აშენე-
 ბინებდეს მცხოვრებლებს სასლებს, იქნება ადესას რომ ჩამოუვარ-
 დეს სიმშენიერით გორი. ამ სოფლის ძირში გამოდის ზემო-
 ხსენებული ფაწა, რომელიც ექმულთის სიმაღლიდგან პატარა
 ბაწარით მოხანს. ექმულთაში ყნები შემოსულიყო, რადგან
 მსე ამ მალღობს მთელი დღე უტეკრის. ამ სოფლის სისუფთა
 კეს ხალხის სისუფთავეც უნდა მიუმატოთ: იცვამენ ძალიან
 სუფთა შალეულობას. ქალები ხალხს მიელ ერთდებიან, რად-
 გან ძალიან იშვიათათ ხვდება აქ უცხო კაცი, სწორედ ლამაზ,
 კომწია გარეულს ირემს წარმოგიდგენთ აქაური ქალი. თუმცა
 შირ-ახვეულები გამოიჭეიტებიან თავიანთი სასლებიდგან, მაგ-
 რამ წყალს ან ცეცხლს თუ მოსთხოვს მგზავრი, ეს კი კარგი
 ჩვეულება ქქონიათ, ქალმა უნდა გამოიტანოს და პატარა ხანს
 თუ გამოელაზარაკე, შეჩვევაც მალე სცოდნიათ. მეტე ნელა-ნე-
 ლა დავიანლოვდებიან ღ რადაცა გაცვებით უყურებენ მგზავრ-
 სს. ერთის სიტყვით, ამ მხარეში, რომელ სოფელშიაც კი მი-
 კვდით, აღარ გინდოდა გაშორება, რადგანაც ერთობ გვიზი-
 დავდა ხალხის გულ-უხვობა, სიმშენიერე, ბუნების სიკვლეუ-
 ტე და სსე.

ამ სოფლიდგან წავედით ისევ დასავლეთისკენ, იმერეთის



სამძღვრებისაკენ, ს. ერწოში. ეს სოფელი მდებარეობს ვაკე ადგილზე, ნიადაგი ნოტიოა და ბალახიანია, ხალხი, თითქმის სულ ყველა, რიგიანათ სცხორობენ; ექვს ვერსტზე გარშემო დაცემული საყოფიერი ჭ ბალახიანი მინდორი არტყია, რომელიც შემოზღუდულია მაღლის დასეთქილი მუხის მესრით. შიგ ამ შემოზღუდულ, დაკეტილ მესერში არის თავისუფლათ სოფლის საქონელი გაშეებული. სამხრეთით ერწოს აქვს აუღებუდი დიდი მთა, რომელიც აჭრელებულია სხვა-და-სხვა ფერის კლდეებითა. საზოგადოთ ეს მთა გაყიანია, მთაზე მითხრეს ოსებმა, რომ ჩვენი მამა-პაპანი აქ რინას სთხრიდნენო, მადანი იყოკო. ღუზბინდით გავისუდეთ და მაღლობში აქა-იქა სხანდა ნათხარი ადგილები, ამომტკრეული კლდეები. ჩრდილოეთით ს. ერწოს უდევს სხვა მაღალი მთა, მაღიან ბალახოვანი, ასე რომ რამდენიმე ათ-ასი ბუჩუღი თივისა იდგა. ეს არის მიწეზი, რომ აქაურ გლეხებს, თითო ოჯახს, სულ უკანასკნელი სამოც-ოთხმოცი სული რქიანი საქონელი ჰყავს. ამოდენა სიმდიდრეს სულ თავის ოჯახს ახმარებს, ამიტომ აქ, როგორც ვსთქვი, ყველა შემდეგულია. შემდეგ ცოტა-ხნის შესვენებისა, რადგან კიდევ დაღამებამდინ დრო იყო, გავწიე რინის მადნის სანახავად. წავიყოლე ოსები, წავადებინე წერა-ქვები და სხვა იარაღები რინისა და შეუდექათ იმ უზარმაზარ მთას. წყლისგან წამოღებული დიდრონ დიდროანი შავი ქვები ეუარნენ ღრანტეებში. გავშინჯეთ და აღმოჩნდა, რომ ეს ქვები ნიაღვრებისაგან ჩამოზიდულია ზემოდგან, მადნის ადგილებიდგან. გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ქვები ნამდვილი რინა იყო. მანც და-მანც ავედით ზევით, საიდგანაც წამოღებული იყო ეს ქვები. ამოვთხარეთ, ამოვამტკრეთ ზემო ნახულის გვარი რინის ქვა; აქვე ვნახეთ უვით-

ლი მალამოსავით ქვა თიჩისა, რომელსაც ესლა მსატკობი
 საღებავათ ხმარობენ. ამ ყვითელ თიჩის ქვას უწევიან შიგ
 შესებლი და შესებლი ფოლადი. როგორც სჩანს, ეს მთა სულ
 რეინა და თიჩაა. ეს მთა მისდეკს დასავლეთისკენ და უერთ-
 დება მთას, რომელშიაც იღებს სათავეს მდინარე ყვიჩილა.
 ამ შეერთებულ მთასთან არის ს. წონა, რომელსაც იხსენიებს
 ჩვენი გეოგრაფი ვასუშტი. ერწოდვან ერთის ვერსის სიშო-
 რსე, წონისკენ მთები თან-და თან იშლება და ამ მთებს შუა
 ჩრდილოეთის მთებისკენ არის ტბა, რომელსაც სიმრგვლივ
 ოთხ ვერსე მეტი სიგრძე უნდა ქქონდეს. ამ ტბას ჩრდი-
 ლეთით და დასავლეთით უდეკს მალაღი, სშირი ტყით და
 ბალახით შემოსილი მთები, რომლებსაც ტბის ტალღები სვლე-
 ბა. სამხრეთ-აღმოსავლეთით ტბა შეჭრილია მთებში და აღ-
 მოსავლეთისკენ ბუნებითი ბუსტია. ამან წარმოიძგინა ჩემგან
 ნახული ზღვის, ქალაქების ბუსტები, შევადარე და ვინატრე
 ჩვენი საცოდავი ფოთისთვის, მაგრამ ნატურა ნატურადვე და
 მჩნა. წყალი ტბისა ლურჯია, უმარლო, თვეში უხვად, კალ-
 მხი ისე ამოდიოდა და ამხანუნებდა წყალს, თითქო ხშირი
 წვიმა მოდისო. ისეი და სხვა წყლის ფრინველები იმდენ გუნ-
 დებათ დაფრინავდნენ, რომ ცა აღარ სჩანდა. სამოთხეც აქ
 ყოფილა, თავისუფლებაც და ბედნიერებაც, მეოქი. ვიფიქრე,
 ბედნიერია აქაურობა, რომ ჯერ შეუბრალეული ხელი აღამი-
 ნისა არ მოსვედრია ამ ქალწულ ბუნებას. ამ მთებს რომ გზე-
 ბი ქქონდეს, რომ შეიძლებოდეს სშირი მისვლა-მოსვლა, რამ-
 დენი რამ ნივთიერობა გამოვიდოდა საქართველოში და ერთი-
 ათად დასწევდა ყოველისფერის ფასებს. მაგრამ ბალა ეს არის,
 რომ სადაც მისწვდება გაუძღარი სული ვაჭრებისა, ყველას
 თავის ჩიჩქს სდებენ, ყველას ცეცხლს უვიდებენ. ამის წარმო-

დგენამ აზრი შემიცვალა და ვინაჲთჳ ამ ლამაზი ადგილებისათვის ისევე ქალწულად უფიქრობა.

ჩვიანის მთას გავეყვით, ტბას აუქტიეთ და გავედით ერთ ტრიალ ველზე, რომელიც ისე გაჭედული იყო გათიბულის ბუჩულებით, რომ კაცს ზუზუმუსტის ზღვა ეგონებოდა; აქაც მთელი საძოვარი ალაგები და თვითვეულის შეკომურის მამული, სახნავ-სათესი, შემოზღუდულის მუხის მესერით. ეს მშვენიერი ადგილი ეკუთვნის პატარა სოფელს წონას, რომელიც ყველა ზემოდ მოხსენებულ სოფლებს არ ჩამოუვარდება. ხალხიც შეძლებულია, ლამაზი, სუფთა, სახლები მშვენიერი და დაყოფილი არიან ოთახებათ, რომლებშიაც დაწბაზია შესანიშნავი, სადაც ერთათ თავ-მოყრილია მთელი სახლები და სადაც იღებენ სტუმარსაც. ყველას თავ-თავისი საწოლი ოთახი აქვს. სტუმრებისთვისაც ცალკე ლოჯის შეადგენს კრატზე გაშლილი, მშვენიერი, წმინდა, სუნნულავანი თივა, თივთიკივით ობლი, რომელსაც ზემოდგან გადაფარებული აქვს თეთრი, წმინდა შალის ნაბადი. აი, აქ გვითხრეს ნავთზედ, რომლის სახანთაც წაკედი. ნავთი გამოდის წყაროებად. მუორე დილით წაგვიყვანეს სახანავათ ნავთის წყაროებისა. დასავლეთით გზა იკრის და აქედგან, როგორც ესთქვით, გამოდის უვირლია პატარა ნაკადულის ოდენა და თან-და-თან იზრდება. აქ, ამ დასავლეთის მხარეზე, სამი კერსის სიშორეზე ნავთის წყაროებიდგან, სადაც წყდება ზემო ნათქვამი ჩვიანის მთა, მივადევ ერთ ჩაჯარდნილ ალაგს, სადაც ვნახეთ დიდი უვითული ქაუზი, რომელიც გადავაწვიანე კეტებით ზემოდ. ეს ქაუზი გაფიცრული იყო უვითელი ნივთიერებით. გარეშემო ამ ქაუზს ახვევია კლდე; როგორც ეტყობა, ამოკაფულის და განკებ გაკეთებულია ქაუზის გარდა. გამოვაწმენდინეთ ეს ქაუზი,

დავაგუბეთ კვლავ და ისევ ახლად მოიგდო ყვეითელი ნივთიე-
რება, რომელსაც ნამდვილი ნავთის სუნი აქვს. თან სპილენძის
ქვები მქონდა, ზარფუშით დასურული. მინდოდა გამეცხელებ-
ინა და გამეგო ნამდვილათ, რა იყო ისა. როგორც გაცხელ-
და ქვები, ავლიჯა ზარფუშა და ისეთ ნაირათ მოკვიდა ცეცხ-
ლი ქვებს, რომ ადგილ ადგილ დაშალა, [შემდეგ ჭაუზიდგან
სამი ბოთლი ავამსე და წამოვიღე საჩვენებლათ. გარკვეულა ჭა-
უზის კლდეები სულ დანოტივებულია, თითქო ზეთში ამო-
რულათო. შევევიოთ ხეკს და, სადაც ნოტიო ადგილები დავი-
ნახეთ, წყარაქვი დაკვარით და მკლავის სიმსხოთ ამოხეთქავდა
ხოლმე ნავთი. ერთის სიტყვით, ეს ნავთის ადგილი გარკვე-
ულა რამდენიმე ვერსი იქნება. ზემოთ ველარ წაველით, რადგან
ფლეკებში არც გზები იყო და ზემოთაც დიდი თოვლი იდო.
ეს ნავთი ჭ ზემოთ ნათქვამი რკინის ქვები ვაჩვენე, როგორც
გოჩნი უზრავლენის ინჟინერს, ისე მცოდნე პირებს, ანგლინ-
ებს და დამტიციუსს, რომ ნამდვილი რკინის, ფოლადის და
თიჩის მადანია აქა. ნავთისა მითხრეს, რომ სადაც რკინის ია-
რადები კეთდება, ზეთის მაგივრად იმხარებაო და ნამდვილათ
ნავთიაო. დღეს, გაუწმენდავთ ისრე სუფთა არის, რომ ვა-
რტიისათვის მასად გაიყიდება. სადაც ესლა მუხრანსკის და
სხვებს... მარგანეცი გამოაქვსთ, ის მთა შეადგენს ამ მთის
მეორე მხარეს და ადვილათ შეიძლება, რომ ეს ჩემიერ ნა-
ჩვენები გრძელი რკინის მთა სულ ლითონების მთა იყოს,
რადგან მცირედის გაგზავნილის ნიმუშებით ნამდვილი ლითონ-
ები გამოდგან და ამ ფლეკებში კიდევ ითხოვეს ანგლიაში
ამის ნიმუშები და მეორეთ გაგზავნის შემდეგ დაწერილებით
გავაგუბინებ მკითხველს, როგორ მოსჭიდებენ ამ სასარგებლო
საქმეს ხელსა. თუმიცა მამულის პატრონებს იქაც ვუჩინე, მაგ-

რამ ესლაც ვუჩხევ—სუმბუქათ ნუ შეხედვენ ან საქმეს, გაზაფხუ-
 ხელზედ მოათხრევიან რამდენიმე ალაგას, ყველა ნაირი მი-
 ნუში ამოიღონ, აგრეთვე ეს ნაუთი გუდებით ჩამოიტანონ
 ქალაქში და იქ ნამდვილი ღირსება გაიგონ.

აღაღო თუთაევი.



საქართველოს მოკლე მატინაე.

(გაგრძელება.)

ბაგრატიონთ ჩამომავლობა.

I

მეუფობა გურამისა.

ჩამომავლობა ბაგრატიონთა.—ანალი ერისთავების დანიშვნა.—სპარსეთში შესვლა.—მოლაპარაკება მავრიკესი ამბარვეზთან საქართველოს დამოუკიდებლობაზე.—სიონის და წმ. ჯვრის ტაძრების აშენება.—სიკვდილი გურამისა.

ბაგრატიონები ანუ ბაგრატიდები ჩამომავლობენ ურბიების მეუფებისგან. ზოგიერთი დავითის და სოლომონის ჩამომავალნი, ურბიათა გადასახლების დროს, შამხვიდნენ სომხეთში და აქ ხელ-ახლად გამოჩნდნენ და გამძლავრდნენ. ბოლოს მიიღეს ქრისტიანობაც. შექქეს სუგუნეში ერთმა მათგანმა შეერთა ვახტანგ-გორგასლანის ქალი. ამ ნათესაობის წყალობით იგი გახდა კლარჯეთის და ჯავახეთის მმართველად. მისი შვილი გურამი, რომელიც დანიშნა საქართველოს მეუფედ, გახდა მოთავედ ბაგრატიონთ გვარისა.

გურამის მეუფობის(გამ.586)შირველ დროში კახეთი ორად გაიყო: მარცხენა მხარე ალაუნისა ვიდრე კავკასიონის მთებამდე მიე-

ცა ბაკურ მესამის შვილებს, მარჯვენა კი (ქიზიყი-კამბეჩი) წაერთვა სპარსეთის მართველს ვახანს ღ მიეცა გურამის ძეებს.

გურამმა რომ საქმეები მოაწიგა ვახუშტის, იმპერატორმა გამოუგზავნა მას დიდ-ძალი თუელი და სთხოვა დაქვინაების მთიული ხალხი, ამასთან შეერთებისა ქართველთა ჯარები და შექსეულა სპარსეთს. გურამმა მოიწვია ოსები, ძურძუკები, დიდულები და წავიდა ადირ-ბეჯანის მხარეს. გააოხრეს ეს ქვეყანა და სპარსეთს თავს ზარი დასცეს. მაგრამ მალე ბარამ-ჩუბინმა სრულიად დაამარცხა ოსმალოს ჯარები, მეტე მოვიდა და შეხა ქართველების ჯარებს, რომელიც აგრეთვე დაამარცხა. ქართველები უკან მოიქცნენ. სპარსეთში ჩამოვარდა უთანხმოება და შინაურნი შოგთი, რომელიც დაბოლოვდა მით, რომ იმპერატორმა მკრიკემ მიიღო მონაწილეობა მის დამშვიდებაში, რის გამო საქართველო ხელ-ახლა გადავიდა იმპერატორის მოვალეობის ქვეშ.

გურამის მეფობაში აშენდნენ ტაძრები: თბილისში სიონი და წმ. ჯვრისა ანაგვის მტკვართან შესართავის მარცხენა მხარეს; იქ, სადა პირველათ მიჩიან მეფის დროს დასდგეს ჯვარი. გურამისვე მეფობაში აღუყვდა თბილისი და უფრო დასუსტდა მცხეთა, რადგან ხალხი გადაესახლა აქედან. გურამი მოკვდა 600 წელში და გამოედა უფროსი შვილი მისი—სტეფანოზი I.



II

სტეფანოზის მეფობა,

საქართველო სპარსელების დამოკიდებულებაში ვარდება. — იმპერატორის ირაკლის მოქმედებანი. — ქაზარეველნი საქართველოში. — თბილისის აღება ადარნასესაგან. — საეკლესიო საქმენი.

მავრიკეს უნდოდა ასალი განწყობილება და წესიერება შამოელთ თავის ჯარში. ეს არ მოეწონა მის ჯარს და ვილანთ ფოკის წინამძღომლობით დაეცნენ კოსტანტინოპოლს, აიღეს ქალაქი და გაამეფეს ფოკი. ამან მოჭყლა მავრიკე. ფარკვიზმა გადასწყვიტა მაგიერის გადასდა იმათთვის, ვინც ხელი შეასო მის ნათესავ სახლობას. სპარსელები დაეცნენ მცირე აზიას, გააოხრეს ეს მხარე, მკრე სირია, ანტიოქია, იერუსალიმი აიღეს, შევიდნენ არაბისტანში და ეგვიპტეში. ამ გამარჯვებებმა თავს-ზარი დასცა იმპერიას და არ იტოვდნენ, რითი გათავდებოდა ეს ომები. მხოლოდ ირაკლი, ფოკის შემდეგ გამეფებული, იმედს არ ჰკარგავდა და გულადად იყო.

საქართველოს მეფე სტეფანოზი გი ძალიან შეაშინა ფარკვიზის განძლიერებამ, რის გამო მან თავის ნებით გადასცა საქართველო სპარსელებს. სპარსელები შემოვიდნენ ამ ქვეყანაშიაც. ქრისტიან საღსებს გაუძნელდათ ცხოვრება ამის მეფობის ქვეშ.

ამასობაში ფარკვიზი მიაღწა კოსტანტინოპოლსაც. ირაკლი, რომ მისთვის თვალები აება, ჯერ შეურთგდა. მეტე რრი წლის განმავლობის შემდეგ მოიწვია კავკასიის ხაღსები და თითონ დაეცა მას.



ქართველების გულის მოსატებლად ირაკლიმ წინათვე სტეფანოზის მაგიერ დანიშნა საქართველოში მეუვედ ბაგურ III-ს შვილი ადარნასე (სასანიდის გვარიდან), აფხაზეთის მმართველს ლეონს აჩუქა ქალაქი ნიკოპსია. 622-ს და 623 წლების განმავლობაში ირაკლიმ აიღო სომხეთი, ადირბეყანი და შირვანი. 624 წ. შიგ შუა სპარსეთში უნდოდა წასვლა, მაგრამ დაღაღული ქართველები არ გაჰყვნენ.

ამავე დროს სპარსელებს დებენტიდგან შემოესივნენ ქაზარეკელი და გაუოხრეს მათ ქვეყანა. ირაკლიმ შემოიერთა ესენი და დაეცა თბილისს, რომელშიაც სპარსელების ჯარით გამაგრებულყო სტეფანოზი, აიღო ქალაქი, ყაღის გარდა, ყაღას შემოაჩტყა ჯარები ადარნასეს წინამძღოლობით და თითონ შეესია სპარსეთს. სპარსეთამდე ამან გაიარა საქართველოს მიწები: გარდაბანი, ბერდუჯი და ლალი. ააშენა აქ მრავალი ეკლესიები. სალსი და მმართველი ბერდუჯისა კარსზგატელი სომხების რჯუელიდგან მართლ-მადიდებელ ქრისტიანობასე მოაქცია.

ადარნასემ აიღო ყაღა და დატყვევა ჯარის უფროსი, გაატყავა იგი და გაუგზავნა ირაკლის, რომელიც მაშინ იყო კარსზგატელისას. ამ ნაირათვე დასაჯეს სტეფანოზი და მისი მომხრენი. სტეფანოზის შვილები გაიქცნენ და დაიძაღნენ კლარჯეთის მთებში, ადარნასე კი დაუბრკოლებლად ავიდა თავის მამა-მამუელს ტახტზე. ბერძნებს დარჩათ შავი ზღვის ნაპირები, და კლარჯეთის ერთი წილი.

629 წელში ირაკლიმ გაათავა ომები სპარსეთთან; დაბრუნდა საქართველოში და ბრძანა გაეჩვენათ ყველა ცეცხლთაყვანის მცემლები, თუ ისინი არ მიიღებდნენ ქრისტიანობას. მერე ირაკლი წავიდა საბერძნეთში.

აღწესსეს მეცადინეობით ქართველთ ქათალიგოზის კუთ-
 სეკა ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო საქართველოში და აწა
 ანტიოქიაში, როგორც აქამდე. აღწესსეს მოკვდა 639 წელში.
 გამეფდა შვილი ამისი სტეფანოზი II.

IV

არაბები.—დაპრობა სპარსეთისა. — შირვანისა. — სომხეთისა. —
 სტეფანოზ მეორეს მეფობა, — არაბების საქართველოში შემოსევა.
 — საქართველო ბერძნებ და არაბებ შუა იყოფება. — მეფობა მი-
 რისა და არჩილის. — მერვანის (მურვანის) შემოსევა.

აღწახის მოციქული — მაგომედი უდიდესი, (თათრების
 ისტორიის მოწმობით ყველა მოციქულებზე) გასდა მე შვიდე
 საუკუნის დასაწყისში მეფობებულად მთელის აწახისტანისა, რომ-
 ლის გაფართოება და გადიდება მოინდომა. მაგრამ სიკვდილმა
 (632 წელში) აღარ დაატყდა. მის მაგიერ მისმა ქალიფებმა
 (ახუბეკრ ბეგებ) თორმეტის წლის განმავლობაში მაგომედის
 სიკვდილის შემდეგ აღსარულეს წინასწარმეტყველის სურვილი.

აწახების გაძლიერების მიზეზები იყვნენ სპარსეთის და-
 სურსტება და იმპერატორის იწაკლის ომები. სპარსეთში დიდ-
 ხანს ქსუფეკდა შიგთი და უთანხმოება. ქსოცავდნენ ზედი-
 ზედ მეფეებს და ახალ პირებს ამეფებდნენ. გარდა ამისა იწა-
 კლისაგან ძალიან დასურსტებული იყო ეს ქვეყანა, და თვით
 იწაკლიც, მწაკალი ომებისაგან დამაშკრალი, ყურს არ უგდებდა
 აწახისტანის საქმეებს. ამით ისარგებლეს აწახებმა. ახუბეკრის
 ბრძანებით აწახების ჯარების უფროსი ქალედი შავიდა
 სპარსეთში, დაიპყრო იწანი და ეფრატის სეობა. ჯარების მე-



ოჩე ნახევარი შვიდა სირიაში და დაიჭირა მრავალი ურიას-
ტანის ქალები, სხვათა შორის იერუსალიმიც. მეჩე სპარსე-
ლები შემოვიდნენ ტიგრის ხეობაში და აქედან სომხეთში.
მოხდა საშინელი ბრძოლა; სომხები დამარცხდნენ და ხალხს
შიშის ზარი დაეცა. სპარსელებმა დაიბურეს სომხეთი ღ ა რე-
ზის ხეობა (639 წელში). 642 წელში დაიბურეს აგრეთვე
შირვანი. ჯერი მოადგა საქართველოსაც.

არაბების გამარჯვებებმა შეაშინა ქართველი ხალხიც. ყვე-
ლანი მოელოდნენ საშინელ აკლებას, აწიოკებას, ამისთვის
ყოველი კაცი მიეშურებოდა მთებისკენ და ვერ მისაგნებელ
ადგილებში ძალაჲდა თავის ქონებას, ავეკრულებას.

663 წლიდან მოვიდებოდა საქართველოში მეფობდნენ
ძირი და არჩილი—შვილები სტიფანოზისა, — ზირველი დასავ-
ლეთ საქართველოში—მეოჩე აღმოსავლეთში. ძალე არჩილიც
გაიქცა დასავლეთ საქართველოში—სამეგრელოში თავის ძმას-
თან, რადგან უშინოდა განძინებულ არაბებისა. მართლაც არა-
ბებმა დიდ-ხანს არ უცადეს; მერვანის (ესკე ცნობილია ჩვენს
ისტორიაში მურვან ერუდ) წინამძღომლობით შემოესივნენ
საქართველოს, განელეს დარიელის ყელამდი. დაიბურეს ეს სა-
მაგრე და მეჩე განელეს ქართლი, სამცხე ღ მიადგნენ არგვეთს,
სადაც დასვდა მათ ქართველთ მოწინავე ჯარი ორი ძმის, —
დავით და კოსტანტინეს (ერისთვები) წინამძღომლობით. თუმ-
ცა მოწინავე ჯარი სპარსელებისა დამარცხდა, მაგრამ ამან უფ-
რო გააჯავრა მურვან, რომელიც ყოველის თავის ძალით იე-
რიშით მივიდა არგვეთზე. ქართველები მამცურად ჳბრძოდ-
ნენ, მაგრამ რას გაიტანდნენ ურიცხვ მტრის რაზმებთან!
არაბებმა გაიმარჯვეს. დაატყვევეს თვით ქართველთ ჯარების
წინამძღოლები. ხელ-შეგრულები დავით და კოსტანტინე წარუ-

დგინეს მუჩვანს, რომელმაც ჯერ აწვალა ისინი და მერე ჩაჭყალა ტბაში (ზოგიერთნი ამბობენ მდინარეში — რიონში*).

მიჩვანს უნდოდა დაეტყუებინა თვით მუფენი. ამისთვის იმან გაიარა მთელი იმერეთი და გადავიდა აბსაზეთში. გაიგო თუ არა, რომ მიჩვი და აჩილი იმალებოდნენ ანაკობიაში, იმან შემოაჩტყა ჯარები ამ ქალაქს. მუფენს ჰყვანდათ ქალაქში 2,000 აბსაზეთი და 1000 ქართველი. გამაგრებული ქალაქი წვიმებისა და ნიაღვრებისა გამო ვერ აიღო მუჩვანმა და წავიდა ზღვის პირად, სამსრეთისკენ. ბუჩის წვალების ბუჩავლასის შემდეგ მუჩვანი გავიდა საქართველოდან; მაგრამ კაი ამისთანა გასვლას: არც ერთი შენობა დაუზიანებელი და დაუმსრბელი არ დაანაწიუნა საქართველოში; მთელი ჩვენი ქვეყანა არაბების მოხარკედ გახდა.

არაბების შემოსევამ სრულიად დაამსო საქართველოში კერძო თავყანის ცემა. ამით დაანგრეს ყველა კერძები, დეგნა დაუწყეს მოგვებს და ცეცხლთ თავყანის მტემლებს. ამისთანავე დღე დაუდგათ აგრეთვე სპარსელების მქადაგთა. საშინელ დეგნის გამო ცეცხლთ თავყანის მტემლობის სჯულის მტკიცედ მოწმუნენი მიილტოდნენ ინდოეთში თავის საშველად. ამ ნაირად მთელ სპარსეთს მიაღებინეს მაგომედის სჯული და სამუდამოთ დათრგუნეს ზოგოასტრის სწავლის დედა-ბოძი.

ამ დროინდელი შინაური მდგომარეობა ქართველი ხალხისა მოკლეთ არის გარდმოცემული. მაშინ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ფული, საკრავ და საომრო იარაღები: ბუკი

*) ძმათა დავით და კოსტანტინეს საქართველოს ეკლესია იცნობს წმინდანებათ და ამ წმინდანების სახელობაზე აშენებულთა მოწამეთის ეკლესია (ექვსი ვერსის სიშორეზედ ქუთაისიდან.)



დაფდაფი, შუბრდული, ლახკარი, სძალი და ფარსძალი. ქართველებს მასინ ჭებეკათ: ახალუსი, გრძელი სასელებიანი ჩოსა, წალები ძაღალი ქუსლებიანი და გრძელი, წვეტიან ცხვირებიანი, აგრეთვე ქალამანი.

სსკათა ჩვეულებათა შორის აქამდე დარჩომილა ჩვენ ხალხში იმ დროინდელი „ჭია-კოკონა“ საღამო, რომელიც ყოველ წელიწადს იდექსასწაულების ხოლმე დიდი მარხვის უკანასკნელს კვირის ოთხშაბათ საღამოს. ამით ქრისტიანი ხალხი ჭხატავდა თავის დაცინვას ცეცხლ-თაყვანის მცემლობისადმი.

საქართველო არაბების მფლობელობის დროს.

მეფობა არჩილისა.— მის მოკვლა.— უბედური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა.— საქართველო ჯუნანურს და იოანეს შუა იყოფება.— ქაზარების შემოსევა.— თბილისის არაბებისაგან აღება.— ახანაფეთი.

მირი მოკვდა მასინ, რომელსაც ანაკობიას მურვანი შემოერტყა; მეფედ გახდა არჩილი. მირის ანდერძის მიხედვით არჩილმა გაათხოვა თავის ძმისწულები, სსკათა შორის ერთი მისცა აფხაზეთის მთავარს, რომლის შემწეობითაც დაიპყრო და დამშვიდა შავი ზღვის ნაპირს ხალხები; ამის შემდეგ დავილად დაიმორჩილა და დამშვიდა: სამცხე, ქართლი და კახეთიც, აგრეთვე თუშეთი და ხუნძასი (დაღისტანი). ყველგან აშენებდა ეკლესიებს და აგრცელებდა ქრისტიანობას ქართველ ხალხებში, რომელნიც არაბების შიშით გადათათრებულნი იყვნენ. ამ ნაირი იყო მეფობა არჩილისა 50 წლის განმავლობაში

მუწვანის შემოსევის შემდეგ, მინემ არ შემოესეოდა საქართველოს მეორეთ არაბის ხალხი ჯუმანჯუმ — აზიბის წინამძღოლობით. ჩვენი ხალხი კიდევ შეირყა. სად შექმლო წინ დასვედროდა ბტეწს! შირველ ახსრებისგანაც ჯერ სული ვერ მოეხრუნებინა. მეფე, ერისთავები და მთელი ხალხი შეშინდა. არჩილს უნდოდა თავის-თავი მიეტანა მსხვერპლად ხალხის მაგიერ. ამის გულისათვის ის თვით წავიდა ჯუმანჯუმის ბანაკში ერთგულების გამოსაცხადებლად. აზიბი დაჰპირდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ხალხს მიეღო მანქმადის სჯული. მაგრამ არჩილმა ეს არა ჰქმნა. მაშინ აზიბმა სთხოვა, რომ თითონ მასმადიანი გამხდარიყო. არც ეს მოინდომა არჩილმა. აზიბმა ჩააგდო არჩილი საზურობილეში და ძალათ უნდოდა მიეღებინებინა მანქმადის სჯული. მაგრამ მეფე რომ მაგრად იდგა თავის სარწმუნოებაზე, მოაკლევინა იგი და სეშინლათ აახსრა საქართველს. მეფის გვამი აზრუნეს ქართველებმა. მეუღლემან მისმან დასაათულავა იგი სოფ. ნოტეორის ეკლესიაში (კახეთში) — ამ ნაიწად ისეც დასუსტებული და ძალა-გამოკლებული ქვეყანა უგარეს მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს დასუსტების ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე საქართველოს რაღად გაყოფვა არჩილის შეილებ (იონნეს და ჯუანშერს) შუამაგრამ ამისთანა უბედურ დროს საქართველოს ზედ მოჰყვა კიდევ ერთი უბედურებაც — მე ვამბობ ქაზარების შემოსევაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ მეფეებმა თავისი და შუშანი არ მიათხოვეს ქაზარების მმართველს ხაკანს, რომელმაც მოინდომა მის შერთვა, ხაკანმა გამოგზავნა თავის ჯარი, რომელსაც ძალათ უნდა წაეყვანათ მეფეთ და. ქაზარები დაღისტნიდან შამოვიდნენ კახეთში, დაარბიეს ჩელეთი, წუკეთი, ველის-ციხე, თიანეთი, ერწო, აგრეთვე თბილისი და სხვა ადგილები; ჯუან-



შერი და შუშანი ტყვეთ წაიყვანეს დარიახის ევლიდგან. მაგრამ შუშანმა კერ გაუძლო უბედურებას და შხაში მიიღო.

ამ გვარის შავი დღეების მგლოვი თბილისი წახებებმა აიღეს და დაადგინეს აქ თავის სამმართველო და დაადგეს აღმოსავლეთ საქართველოს სარკი.

ჯუანშერი ტყვედ დარჩა შვიდ წელიწადს და მერე დიდის საჩუქრებით საკანისაგან განთავისუფლებული დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ ჯუანშერს დიდი გავლენა აღარ ჰქონდა თავის სამეფო ბედ-იღბალზე.

დასავლეთის საქართველო სრულიად დაემოწინა აფხაზეთის მეფეს ლეონს II-ს.

ამ დრომდის ახსაზეთი იყო ბერძნების იმპერატორების დამოკიდებულების ქვეშ, თუმცა იგი ძველადგანვე შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს. ლეონ II-მ ცოლად შეირთო საკანის ქალი და სიმამრის შემწეობით განდევნა ბერძნები და გამოეფა. მერე დაიმოწინა სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, გურია, და ყველა ეს ადგილები რვა საერისთაოდ გაჭყო: 1 საერისთაო იყო ახსაზეთი; 2, ცხომისა—ენგურიდგან მოკიდებული აღანამდე; 3, ბედიისა—ენგურიდგან ცხენისწყალამდე; 4—გურია, 5—6—რაჭა—ჯეხსუმი 7 სვანეთი; 8 ცხენისწყლიდგან სურამის მთებამდე რიონის ხეობის გაყოფება. თავის ტახტი გადმოიტანა ქუთაისში. ყველა ამ რვა საერისთაოს დაეჭვა „სამეფო აფხაზეთისა“.

იოანე მალე მოკვდა, მოკვდა აგრეთვე ამის ძმა—ჯუანშერიც. მეფობა ჯუანშერის ცოლის ძმას — აშოტ ბაგრატიონს დარჩა. ამ გვარად გათავდა სასსანიდების გვარის მეფობა საქართველოში.

II

აშოტის მეფობა.—თვითმმართველები კახეთისა.—აშოტის ქართლში შემოსვლა. დამარცხება თბილისის ემირისა (მთავარისა).—აშოტის განდევნა ქართლიდგან.—აშოტის დაბრუნება და სიკვდილი.—არაბები ქართლში.—ხალილა კახეთში.—ხალილას შვილი—მუნამედი ბაგრატს ჰუველის ქართლის აღებაში.—ბერძნები ახსაზეთის შესახებ.

აშოტი იყო შვილის-შვილი გუჩამისა; 626 წელში ეს გაიქცა კლარჯეთის მთებში და დაიძალა იმპერატორ ირაკლის დევნისაგან. სამცხე-სახათაბეგოზე დიდი გავლენა ჰქონდა აშოტს და ითვლებოდა მის მმართველად. ჯუჯანშერი, რადგან იყო სიძე აშოტისა (ცოლად ჰქვანდა მისი და), ამიტომ ამის სიკვდილის შემდეგ მეფის ცოლის წყალობით აშოტი გახდა მეფედ (787 წელში). 23 წლის განმავლობაში აშოტმა იბრძოლა შინაურ და გარეულ მტრების დასამარცხებლად და საქართველოს შესაერთებლად. მაგრამ მინემ აშოტი აღასრულებდა თავის წადილს 790 წელში ერთმა თავადმა გამოაცხადა თავის-თავი დამოუკიდებელ მმართველად კახეთისა და გახდა მთავრად ამ ქვეყნისა. საქართველოს სამეფო შეიქმნა მხოლოდ ქართლი.

შინაურ შფოთისა და აწეულობის გამო არაბების ჯარების უმეტესი ნაწილი იქმნენ გაწვეულნი არაბეთში. ამ დროს აშოტმა მიათხოვა თავისი ქალი ახსაზეთის მეფეს თადეოზ I-ს, შვილს ლეონ II-სას, და მერე სიძის შემწეობით შეესია ქართლს. გრიგორიმ—კახეთის მმართველმა, თავის შიშით მოიწვია ლეგებიც და შეუერთდა თბილისის ემირს-აფის; ესენი



ქსანზე დაუხვდნენ აშოტს, რომლისაგანაც დამარცხდნენ და ქართლიდგან განიძევენ. მაგრამ მალე, რადგან შველას აწავისგან იყო, აღის და სომხეთის ეპირის ხალილას ჯარებმა დამარცხეს აშოტი და განაძევეს ქართლიდგან.

ამის შემდეგ კაი ხანს დაწინა აშოტი სამცხე-კლარჯეთში. აქ ის აშენებდა ეკლესიებს და დანგრეულ ქალაქებს. ბოლოს ბედმატ გაუღიმა და დაიპყრო მთელი ქართლი, მაგრამ აწავები მოსვენებას მანინ აწ ამლევდნენ და 826 წელში უტებ დაეტნენ მას ნიგალის ხეობაში და შიგ ეკლესიაში მოკლეს. ამ მეფის გვამი დამარცხულია არდანიუჯის ეკლესიაში. ამ ნაიწად აღი გახდა ეპირად ქართლისა და სამცხე-კლარჯეთისა, აშოტის შვილებს ხარკი უნდა ეძლიათ მისთვის.

872 წელში შოკვადა კახეთის მმართველი (ქორ-ეპისკოპოსი) გრიგორი, რომელსაც აწერენ აშენებას ქალაქის თელავისას გომბორის მთის კალთაზე. გრიგორის შემდეგ ხალხმა მმართველად დასვა დანი, იოანე ქობულაძის შვილი. დანი მმართველად კახეთს 12 წელიწადს, 839 წელს მოკვდა იგი და კახეთში მმართველად გახდა სამეფო დონაური—ამისობას კახეთს დაუცა ხალილა, სომხეთის ეპირი, მაგრამ სოფ. გავანთან დამარცხებული და უკუ-ქცეულ იქმნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ესვე ხალილა შემოესია ქართლს, მაგრამ ჯავახეთში მოკლულ იქმნა. ამის შვილმა, მუხამედიმ განიწრახსა ჯავახის ამოყრა და გაემგზავრა ქართლისკენ. მას მიეშველა აშოტის მეორე შვილი—ბაგრატო, რის გამო მუხამედიმ მისცა მას ქართლი.

ამავე დროს ახსანეთი მოსვენებაში აწ იყო. ბერძნები ხშირად ეტეზოდნენ მას. 831 წელს ბერძნები შეესივნენ ახსანებს მაგრამ ვერა გაწევეს რა. მასინ ახსანთა მეფედ იყო

თადეოზი, რომელსაც ძალიან უყვარდა ქრისტიანობა. ამ მე-
ფეს კეუთუნის დაბა ხონის და იქაური სობოროს აშენება.

III

მუსამედი—სომხეთის ემირი ჰეველის ბაგრატს.—ემირი თბი-
ლისისა სააკი ეწინააღმდეგებათ. — ბრძოლა რენის ცინესთან.—
ბოგის შემოსევა.—ახსახეთის მეფენი: გიორგი და იოანე.—ლი-
პარიც ორბელიანი.

მუსამედს ბაგრატის გაქეობა უნდოდა, ამიტომ დიდ-
ძალის ჯარით შავიდა ქართლში, იერიშით აიღო უფლის ციხე
და მეტე სოფ. რენთან მოუხდა შეტაკება თბილისის ემირის
სააკის ჯარებთან. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მუსამედი იმუ-
ლებული იქმნა დაეტოვებინა ქართლი და აჩანს შეჭსეადა.

ჩამდენიმე წლის შემდეგ თბილისს შემოერთეს ბოგა,
რსმალოს ჯარის უფროსი, კაცი უდიერი და სისხლის მსმელი,
რომელმაც სომხეთში და აღირ-ბეჟანში გაუღიტა 80000 კა-
ცი. ბაგრატი მიემსრო ამას. ბოგამ აიღო ქალაქი, სააკი მ-
შინათვე ჩამოაღწინა, გადასწვა ქალაქი და გააფხრა გარეშემო-
მდებარე ადგილები. საქართველოს ქაზარების შემოსევის შემ-
დეგ ამისთანა აფხრება ჯ განადგურება არა სწვეოდა, როგორც
ესდა.

ახსახეთის მეფემ თადეოზმა თავის შიშისაგამო განი-
ძინა ბოგას წინააღმდეგობა. ამისთვის ის შეუერთდა ქართ-
ლებს და კვერცხობის ახლოს დაებანაკა. ბოგამ გაზავნა
მის წინააღმდეგ თავის ჯარები ზაქარის და ბაგრატის წინა-



მძღვრებით. თადეოზი დამარცხდა და დეკლეთადგან გადავიდა რაჭაში და იქიდგან შინ დაბრუნდა.

ბოგამ ქართლის აზნაობის შემდეგ მონადრმა ასეთის დაპყრობა, რის გამოც ის კიდევ წავიდა ხარტალეთამდე და ცხრვათამდე და ასევე გამოართვა 300 აშანათი, მაგრამ ამ დროს ბაგრატის ძმამ—გუგრაშამ და სომხეთის მმართველმა აბუჯახასმა სთხოვეს რომ დაბრუნების ნება არ მიეცათ თვითონაც თავის მხრით მის წინააღმდეგ ბრძოლა დაჰხიზნენ. ასევე გაგულისდნენ, შეერთდნენ და ერთ ვიწრო დედაში შეეტანენ მტერს. ბოლოს დიდად დასაწყობული ბოგა უკან მოიქცა, აწინში შავიდა და იქიდგან კასეთს შეესია. აქ ამ დროს მმართველად იყო გაბრე დონაური.

საფრანგულში სელმეორეთ უნდოდა ბოგას ასეთზე წასვლა, მაგრამ აწინაბისტანიდგან ბრძანება მოუვიდა, რომ თბილისის ეპიტობა მიეცა მუხამედისათვის და თვითონ დაბრუნებულიყო. უკვლა ეს ამბები მოხდა 854—861 წლამდე. საქართველოში ამის წასვლის შემდეგ—დროებით ჩამოკარდა მშვიდობიანობა.

876 წელში მოკვდა ბაგრატ I, რომელსაც მხოლოდ სახელი ჰქონდა მეფისა. გიორგი I, მეფე ახსნეთისა შემოვიდა ქართლში, დააპყრო ეს ქვეყანა და ერისთაობა მისცა დიმიტრის შვილს—ტინენს. მაგრამ გიორგი რომ მოკვდა და გამეფდა შვილი ამისი იონნე, დედა ამისმა მოაკვლევინა ტინენი და ტინენის ძმა—ბაგრატი ზღვაში ჩაგდებინა, რადგან არ უნდოდა რომ ვისმე სხვას ჰქონოდა წილი ახსნეთის სამეფოს მმართველობაში. ბაგრატი ვიღაც მეტივეებმა იზოვნეს და კოსტანტინოპოლში წაიყვანეს.

მეფეების დასუსტებამ და მათ მცირე გავლენამ ქართლში გაამდიოროს ზოგიერთი გვარები, სხვათა შორის რაჭველიანები.

შესანიშნავი ამბოჯანი იმ დროს. იყო ლიპარიტ რაზმელიანი, მმართველი თრიალეთისა და ამშენებელი ციხის კლდე-კარისა მდ. ალაგეთის სათავეზე. ამ გუჯის დიდი გუჯენა ქქონდა ქართველის ბედ-იღბალზე. ამას დავინახავთ შემდეგ ისტორიადგან.

IV

დავით I და ადარნასე II.—ნასირის დამარცხება.—ახნაფეთის მეფის შვილის ბაგრატის და ნასირის ერთად მოქმედება.—ბაგრატის გამარჯვება.—ასპინძის ომი და ნასიძის სიკვდილი.—ომი კარელებთან და ახნაფებთან.—სომხეთის მეფე შეველის ადარნასეს. ადარნასეს გამეფება.—ახნაფეთის მეფე კოსტანტინე ეომება ადარნასეს.—კოსტანტინეს ტყვეობა.—ზავი.—აოხრება სომხეთისა.—აშოტი.—მოსულა ადარნასესთან სომხეთის ქათალიკოსისა; ადარნასეს გამგზავრება კოსტანტინოპოლში.

876 წ. ბაგრეტი გარდაიცვალა ღ მისი შვილი—დავით I გამეფდა. ამის ბიძის გურამის შვილს ნასირს ან უნდოდა, რომ დავითს რეგებოდა ქართლი; ამიტომ აფხაზეთის მეფის იოანეს მხარე დაიჭირა. მაგრამ 879 წელში იოანე რომ გარდაიცვალა, აფხაზეთმა მიატოვეს ნასირი. ნასირი მარტოდ რომ დარჩნა ცბიერება იხმარა. მოჰქვია დავითი 881 წელს. ამ შემთხვევამ ააღელვა ყველა მოკეთენი დავითისა. მთელი ქართლი, სომხეთი, თბილისის არაბები შეიყარნენ და დავითის მოადგილეთ დასვეს შვილი მისი — ადარნასე მეორე. ნასირი გაიქცა კოსტანტინოპოლში.

აქც გულის კეც გუძლო. განდევნილი ბაგრეტი შეაფუცა, რომ მას წაერთვა ტახტი აფხაზეთის მეფის ადარნასესთვის

(ეს იყო შვილი იოანესი). ითხოვა იმპერატორისაგან ჯარები და გეგები და მოადგა ახსაყეთს; დაიმორჩილა ეს ქვეყანა, მოჰკვლა ადარნასე, გაძეულა თვითონ, გამოიწვია სტამბოლიდან ნასირი, მისცა ჯარები ქართლის დასაპყრობლად. პირველად ნასირი შავიდა სამცხეში, აიღო ციხენი: ოძრსე, ჯვარისციხე და ლომისანი. აქედგან ქვემო ქართლისკენ გამგზავრება უნდოდა, მაგრამ ადარნასემ დასველდა ქართლის, სომხის ჯარები, დაამარცხა იგი და კიდევ მოჰკვლა. ამ ნაირად გათავდა ეს ომი.

მაგრამ საქართველოში მშვიდობიანობა მანც არ დამყარდა. კახეთის ქორეპისკოპოსის გაბრლო დონაურის მოადგილემ — თადეოსიმ დაისაკუთრა გარდაბანი, რომელიც ეკუთნოდა ქართლს, ახსაყეთის მეფე ბაგრატე შემოვიდა ქართლში. თადეოსი 893 წელში მოკვდა და ბაგრატე 897 წელში. ამათი მოადგილენი გახდნენ: ქორეპისკოპი კვირიკე I და ახსაყეთის მეფე კოსტანტინე.

896 წელში სომხეთის მეფის სემბათისაგან გაჯავრებული ადირბეიჯანის მმართველი (ემირი) ავშანი (აბულ-კასიმი) შემოვიდა სომხეთში, ააოხრა იგი, მეტე შემოვიდა საქართველოშიაც. ქართლის ცხოვრების სიტყვით: ავშანი ჯერ მოადგა თბილისს, რომლის მმართველი მშინ იყო ჯათარი. აქედგან წავიდა ღ უჯარმას შემოერტყა. უჯარმის მცველნი იყვნენ 300 მსუდარი. ამ ციხის ალებამ შეაშინა ციხე ბოჭორმის ჯარები, რომელნიც გაიქცნენ მინემ მტერი მოვიდოდა. კვირიკემ შეატყო, რომ ვერ მოერევა მძლავრსა და ურიცხვს მტერს, სრულიადი მორჩილება გამოურცხადა მას. კახეთის დამარცხების შემდეგ ავშანმა გაიარა ქართლი, შავიდა სამცხეში, ჯავახეთში და შემოერტყა ციხე თმოგვს, მაგრამ რომ ვერ აიღო, შემოერტყა მეორე

ცისეს—ეველს, რომლის აღების დროს წამებული იქმნა წმიდა გობრონი. *)

აქედან ავშანი წავიდა უაჩსში, სადაც ამ დროს იმაღლებოდა ჯვარბობა სემბათისა (სომხეთის მეფისა). აიღო ეს ქალაქი და დაატყვევა მთელი რაიონობა სემბათისა. სემბათი იძულებულ იქმნა შერიგებოდა ავშანს, ამანათად მისცა მას თავისი უფროსი შვილი.

ამის შემდეგ 904 წლამდე დამყარდა მშვიდობიანობა საქართველოში. მაგრამ ამ წელს აფხაზეთის მეფე—კოსტანტინე შეესია სემბათის სამეფოს. ადარნასე მიეშველა სემბათს და ორივემ დაამარცხეს კოსტანტინე და დაატყვევეს, მაგრამ მალე ანტიეს დანაშაულობა და განთავისუფლეს. სამწუხაროდ, მალე უთანხმოება ჩამოვარდა ადარნასეს და სემბათს შორის, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტ პატივს სცემდა კოსტანტინეს და არა ადარნასეს. ამან 907 წელს ზოგიერთ სომხების თავადებთან ერთად განიზრახა სემბათის დამარცხება. მაგრამ სემბათმა გაიმარჯვა; ჩამოვარდა ამათ-შორის ზავი, რომლის ძალითაც ადარნასეს სემბათისთვის უნდა მიეცა ყველა ის სომხის თავადები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ადარნასეს შეთქმულობაში.

ამ გვარ გამარჯვებებით გაგულისებულმა სემბათმა გამოუცხადა ომი ადირბეჯანის ემირს უსუფს. ომი გაგრძელდა 914 წლამდე. ბოლოს უსუფმა დაამარცხა იგი და მთელის სანდუგულობით დაატყვევა. მოიყვანა ღვინში და ჩამოასრჩო.

*) გობრონი (მინეილი) ცნობილია ქართველთა ევლესიასგან წმიდანად.

სომხეთი ჩაკრდა სამწესარე მდგომარეობაში: ყველა თავადები შებარვილ ღ უმათ წაყვანილ იქმნენ. მრავალი ქრისტიანი სომეხი გასწვიტეს, რადგან მტკიცეთ იდგნენ თავის რჯულზე. სომელები, ქალაქები დანგრეეს, აახრეს.

915 წელში სუმხათის შვილი—აშოტი 600 თავ-განწირულ მხედრით მოვიდა საქართველში და სთხოვა ადარნასეს, რომ მისთვის სამეფო გვირგვინი ეკურთხებინათ. სურვილი აღუსრულეს ადარნასემ და აბსაზეთის მეფემ. ამის შემდეგ აშოტი ყველგან, სადაც კი შესვლებოდნენ არაბები, ჭხრცავდა და ჭყლეტავდა მათ. მაგრამ მანტ ვერაფერს გამოდნა, რისგამო 920 წელში სომხეთის ქათალიგოზი იოანე VI მოვიდა ადარნასესთან და სთხოვა შემწეობა. რადგან ადარნასე თვითონაც იყო შევიწროებული და თვითონაც ეძიებდა შემწეობას, ჭიჭირობდა სტამბოლში წასვლას, შემწეობის სათხოვნელად, ამიტომ უარა უთხრა იოანეს.

ამისთანა მდგომარეობაში იყვნენ საქართველო და სომხეთი, როცა 923 წელში მოკვდა ადარნასე.

V

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ გამოეფა ქართლში შვილი მისი სუმხათი I. აფსაზეთის მეფე გიორგი II, შვილი კოსტანტინე I-სა შამოვიდა ქართლში, აიღო იგი და მეფედ დასვა შვილი თვისი კოსტანტინე. სუმხათს დარჩა მსოლად სამცხე, ტაო, ჯავახეთი, თრიალეთი, სამშვილდე, ხუნანის საეზისთო, გარდახანი, კლარჯეთი, და სს. კოსტანტინემ სამი წლის განმავლობაში ბევრჯერ გაიმარჯვა მტრებს და ამით

იმედ-მიტომუღმა 926 წელში მოინდომა სრულად განთავის-
 უფლებინა ქართლის სამეფო ახსახეთის სამეფოს დამოკიდე-
 ბულებისაგან. გიორგიმ შეაგრძო და დიდ ძალი ჯარი და გაი-
 ლაშქრა თავის შვილზე, რომელიც გამაგრდა უფლის-ციხეში.
 ბეერი ხალხი დაიხრცა, მაგრამ გიორგიმ კერა დააკლო რა
 შვილს. ბოლოს სერსი იხმარა. გაუგზავნა წარჩინებულნი შირ-
 ნი და თავის მხედრობის შირით მოასყენა რომ ვითომ ჯარს
 ქსურს მისი გამეფება და მამისთვის ტახტის წართმევა, რისგა-
 მო საჭიროა იგი გამოეცხადოს ჯარს. უბედურმა კოსტანტი-
 ნემ დაუჯერა ამ გვარ სიტყუებს, დაჰდა ტივზე და ღამე გას-
 ცურა მის ჯარებისკენ. რამწამ ახსახებმა დაინახეს, მოკვლა და-
 აშირეს, მაგრამ კოსტანტინემ დროით გასცურა მეორე კიდემ-
 დის ღ სადღაც მანც მიიმალა. თუმცა მალე მიაგნეს მას ღ წარუ-
 დგინეს გიორგის, რომელმაც სიკვდილი გადუწვიტა; მისი
 ადგილი კი მისცა თავის მეორე შვილს, ლეონს.

929 წ. კახეთში კვირიკე II (უაღლას შვილი) დროს
 გარდაბნელებმა მოიწვიეს გიორგი და კახეთის ქორეპისკოპოსის
 უფლებისაგან განთავისუფლების სურვილი გამოუცხადეს. გი-
 ორგი შვიდა კახეთში, დასწვა და დახვრია ბეერი ადგილები.
 მაგრამ ზამთრის გასატარებლად დაბრუნდა ატენში, სადაც
 გამოეცხდა შეშინებული კვირიკე — მოჩხილების გამოსაცხა-
 დებლად. მაგრამ მალე კიდე გაიქცა, თუმცა ხელახლა დაჭერილ
 იქმნა გიორგისაგან. გიორგი ხელახლა შვიდა კახეთში. კვი-
 რიკეს ძმამ დაუთმო მას უჯარმის ციხე და ზოვიერთი სხვა
 ადგილები. ბოჭორმა, ლაწობანი, მარანი და ნახიჩევანი კი
 არ ემორჩილებოდნენ. მაგრამ გიორგიმ რჩეული უკანასკნელი ცი-
 ხეებიც რომ აიღო, მაშინ კვირიკემ გამოუცხდა, რომ უთ-
 მობს მას კახეთს, რდონც კი განთავისუფლოს და მისცეს

ნება, რომ წამთარი გაატაროს ბოჭორმის ციხეში, გასაფხულში კი გადასახლდება კასეთიძვან. გიორგი დათანხმდა და ახსარეთში დაბრუნდა. გასაფხულზე კვირიკე ანათე გადასახლდა კასეთიძვან, ანამელ უარი ჭყო თავის შირობანი და ქართლის აზნაურების დახმარებით განდევნა ახსარები და განათავისუფლა ციხეები.

კვირიკეს მოქმედებამ ძალიან შეაწუხა გიორგი, რომელმაც გამოგზავნა ახალი ჯარები თავისი შვილის ლეონის წინამძღოლობით კვირიკეს დასასჯელად. რომელმაც ლეონი შეპოვიდა კასეთში, ამას მოუვიდა ამბავი ძამის სიკვდილზე. საჩქაროთ დაბრუნდა ახსარეთში, ავიდა ძამის ტახტზე, გამეფდა ლეონ III სასულობით, შეურიგდა კვირიკეს და დაუთმო მას კასეთი. ეს მოხდა 955 წელში.

სუმბათი მოკვდა 959 წელს, მას დაწინა შეილი, ბაგრატ II რეკვენად წოდებული.

ლეონ III იპეფა 2 წელიწადს და მოკვდა 957 წელში უშვილოდ. გამეფდა მისი ძმა დიმიტრი. ძმა ამისა თეოდოსი, რომელიც იყო გავზავნილი სტამბოლში სწავლის მისაღებად, დაბრუნდა იქიდან სამცხეში, შეაჯიფა ჯარები წინააღმდეგ ძმისა, მაგრამ დამარცხებულ იქმნა. თეოდოსი დაიმაჯა ქართლში ძამის ციხეში; მაგრამ სამ თვეს გასს შემოტყუმი ციხეები დაემორჩილნენ იმ შირობით, რომ თეოდოსი განათავისუფლებინათ.

ამავე სანებს ვგუთუნის გალაშქრება ქართველებისა თორნიკეს წინამძღოლობით, საბერძნეთის იმპერატორის თხოვნისამებრ, წინააღმდეგ იმპერატორის მტრისა—ბარდა სკლიჩისა. ქართველების შემწეობით ბარდა სკლიჩი სრულიად დაძაბრდა იმპერატორმა. ორთავეს დიდი ალათი დაწინათ. ამ ალათით

ქართველებმა ააშენეს მრავალი ეკლესია დასავლეთ საქართველოში.

თეოდოსიმ მანც ან დაითმო. კახეთის ქორეგოსის კვირიკეს II-ის შემწეობით უნდოდა ახსაზეთის მეფედ გახდომა. მაშინ ძმამ სერსი ისმარა: სთხოვა კვირიკეს, რომ შეერიგებინა ორთავე. კვირიკემ შერიგება მოახდინა იმ პირობით, რომ ორივეს დაევიწყათ თვისი წარსული უკმაყოფილობანი, მტრობა და ძმურად ესარგებლნათ თავის მამის ქონებათ. შერიგების ოცი მოხდა მცხეთის სობორში, სადაც მოვიდა თეოდოსი, დიმიტრი, კვირიკე და სხ. ოცის შემდეგ ორივე ძმები წავიდნენ ახსაზეთში, მაგრამ დიმიტრიმ შებოროტდა ძმა, — თვალები დასთხარა, და საპურობილეში ჩააგდო. ამ გვარ უღრმერთობა ააღელვა ახსაზეთი, რომელთაც მიუღობა წაართვის და, რადგან შვილი ამისა უჭკუო იყო, გამოიყვანეს საპურობილედან თეოდოსი და მეფედ დასვეს (979 წ.).

ამასობაში კვირიკე შავიდა ქართლში და შემოერთდა უფლის-ცისეს. თავადმა ივანე მარუშიძემ მოიწვია დავით გურგოზაძე (გამოხენილი მეომარი მაშინდელი დროის) ჯარებით ქართლის დასაჭერად ან იგი მას თუ არ იზამდა, მიეცა შეძლება ამ საქმის აღმასრულებლად გურგოზაძის გურგენის შვილის ბაგრატისათვის, შვილის-შვილისათვის ბაგრატ კეკელიძისა.

დავით დაუთანხმა. შემოვიდა ქართლში, გააგდო კვირიკე და გაამეფა ქართლში თავისი შვილობილი ბაგრატ III.

ბაგრატ III-ის გამეფება (980 წ.) ძლიან სასარგებლო იყო საქართველოს სამეფოს გასამდიერებლად. ბაგრატმა რადგან მცირე-წლოვანი იყო, ქართლს განაგებდა დავითი. ამ დროს ანაბების სიმდიერეს ბოლო ეღებოდა. მათი ვრცელი სამეფო სუსტდებოდა შინაური შიფათის და უთანხმოების გამო. ამი-



ტომ თბილისის ეპისკოპოსის ძალიან მტკიერ გავლენა ქვეყნის საქარტო-კულტურის შინაურ საქმეებზე.

ამავე დროს ქართლში კიდევ გახსნდნენ წინააღმდეგობის პარტიები, რომელნიც ებრძოდნენ მეფეს. ამათ შორის იყო ქავთარის ტბელი, რომელმაც მოიწვია კვირიკე. ამან აიღო უფლის-ცისხე და დაატყვევა გურგენი და ბაგრატო, მაგრამ დავითი დაეცა ჭკანთავისუფლად იგინი, კვირიკე კი გავიდა ქართლიდან.

ამავე დროს ახსნეთშიც აღუდგებოდა იყო ახსნურობა, რადგან ბრძოლა თეოდოსი ვერ ქმარდა საძეოებს. ამით ისარგებლა იმავე იქნენ მარტოებში და იმდენი ეტად, რომ თავის მხარეს გადმოიბირა უმთავრესი ნაწილი ახსნეთის დიდ-კაცობისა და ხაგონა მათ, რომ მოეწვიათ მეფედ ბაგრატო. ახსნებმა გამოუგზავნეს დავითს შუა კაცები და სთხოვეს შვილი მეფედ ახსნეთისა. დავითი დათანხმდა რაღაც ამინათები მოსტყეს წინხინებულ გვარებიდან. მამინ დავითმა დალოცა თავისი შვილი და გაისტუმრა ქუთაისში, ახსნეთის საძეოებს დედა-ქალაქში, სადაც ხალხმა შეჭვივდა მას ერთგულობა. ასე 985 წელს შეერთდნენ ახსნეთ-ქართლის საძეოები ბაგრატ III-ის მეფობის დროს.

მოსე ჯანაშვილი.

„იპედის“ კორკასკონდენსია სენაქიძთან.

სამეგრელო, 2 გიორგობისთვის 1881 წ. ცნობილია, რომ ხალხის უმეტესობას ეველგან შეადგენს გლეხობა. ამ გლეხობის სკეღრი არის მუდმივი შრომა—მიწის შემუშავება. გლეხი თავის ცხოვრებას აღაძებს განუწყვეტელ შრომაში. თავის ყოფილით მონაგარი მოსავლით ის აძლევს დღიურ საჩხის არა მარტო თავის ღარიბ ოჯახს, არამედ ჩვენც, რომელთაც ჭირნახულის მოყვანისა არა გაგვეტება რა, და აკმაყოფილებს სხვა-და-სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა. აქედან სჩანს, რომ გლეხი მუდამ ზრუნავს, როგორც თავის-თავსად, ისე ჩვენსად, მაგრამ, საუბედურთ, ჩვენ კი გულ-გრილათ შევტყუებით ამ დაჩაგრულ შრომის შვილს, არ ვხედავთ მასში ჩვენთვის მოამბეს, არ ვფიქრობთ, რომ ცოტათი მანტ გაუადვილოდ მას თავისი მეტის-მეტად შევიწროებული ცხოვრება.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან რამდენსამე ნამდვილ ფაქტებს სენაკის მაზრის ცხოვრებიდან რომელზედაც მე მწადიან ბასი.

ამ გასაფხულზედ ჩვენ სენაკის მაზრაში ზოგან გაჩნდა ერთი ცუდი, გადაძვები ავთმყოფობა. ამ სენმა ბეჭი კანდი უღრმეთ გაისტუმრა საიქიოს. აი რა ნაინათ მოქმედებდა ეს ავთმყოფობა სნეულზედ: ჯერ ის გრძნობდა მეტის-მეტ სიცხეს და მწირთელ ვარდებოდა ღოგინში; მეტათ აუვარდებოდა



თავის და ფილტვების ტკივილი, რის შემდეგ რჩი-სამი დღის განმავლობაში ლევდა იგი სულსა. წადგანაც ეს ავანტიურაობა ადვილათ გადადიოდა ერთიდგან მეორესედ, ამისათვის გაგარდა ხმა, რომ სხსადი გახნდა.— ამ ხმის მოწყვლებით, გაჭირვებული ავანტიურაობი მოკლეუული იურა კარგ მოვლას და სიკვდილის შემდეგ ძლივს-ძლიობით ეღიროებოდა მას შავს სათლავში ჩასვენება. ეს ავანტიურაობა მეტადრე გაძლიერდა სოფელ ეწერში და დიდი მაცხოვრის კარში, სადაც ესლაც კელესიების ეზოებში თითქმის თითოეულ ნაბიჯზედ ნახვით სხალ მიტვალვებულის სათლავს. ხალხი იხრცებოდა . . . მხლელად მასინ რჩილდე ჯერ ჩამობრძანდა ამ სოფელში ჩვენი მაცრის ექიმი. . . . მიდიოდა ავანტიურათან ღ მის ერთი შესედვით ამბობდა: „ამ ავანტიურაობაში არა არის რა საშიშია;“ ამის შემდეგ ის დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებოდა და უდაცდელათ მიემგზავრებოდა მაცრის ქალაქისკენ. აი ამით თავდებოდა, მკითხველ, ექიმის ხალხისადმი მედიკური შემწეობა!

ამ სშირ სიკვდილმა თქვენი ჭირი წაიღოს. მაგრამ ყველანე უფრო სამწუნარო ის მოვლინებაა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს მაცრში ძალიან გავრცელდა კაცის-კვლა. აი რამდენიმე ნამდვილი ფაქტები ცხოვრებიდგან.

სოფელს ე—ში გლესთ მ—ს და გ—ს ჭქონით ცოტადენი სადაო მიწა. თუმცლად დიდი ხნიდგან ეს მიწა ყოფილს გ—ის მიფლობელობაში და სარგებლობაში, მაგრამ მ—ეები მინც კიდეკ არ ეშკებოდნენ თავის მეზობელს და ითვისებდნენ იმ მიწას საკუთრებათ.

განათესულის ერთ მშენიერ დღეს გ—ლი დაადგა მიწას ჩვეულებრივ, სჭრიდა ხეებს და ამზადებდა მას საყანეთ. უცრათ მოუვარდნენ ამ საწყვლს რამდენიმე მ—ეები ლხმღვა-

გინებით, დასცეს დედა-მიწაზედ, ჯერ სხეტურათ და შეუბრა-
ლებლათ სიკვდილამდის სცემეს და მერმეთ ერთმა მათგანმა
აიღო ცუდი და შუბლი გაუხეთქა. მწუხარე გ—ლი, რომლის
დაჭრილობიდან სისხლის ნაკადული მოდიოდა და გზა-და-
გზა წყაგდა დედა-მიწას, წამდენიმე ხნის შემდეგ მოათრიეს
მშობლების სახლში. წარ-დაცემულ და შესაბრალების მშობ-
ლებს ჯერ კიდევ კარგათ არ ენახათ თავიანთი დაჭრილი შვი-
ლი, რომ მან მეტის-მეტ წვალებაში კიდევ დალია სული. ამ
საქმის თაობაზედ მოახდინეს გამოძიება და მკვლედი ჩასვეს
სატუსაღოში. ერთიც ვნახოთ, ცოტა-ხნის შემდეგ, წამდენიმე
გაკლენიანი პირების შემწეობით, ეს კაცი მკვლედი, მეზობ-
ლის სისხლის მძედი, სატუსაღოდგან გამოეშვათ. ის დასეიწ-
ნობს სოფელში არხეინათ, როგორც ნამდვილათ მართალი კა-
ცი. მოკლეულის საბრალო მამა თითო მის დანახვასე შესაბრა-
ლისი ოხვრით წამოიძახებს სოფელს: „ღმერთო, იმდენი რა გა-
წინე, რომ ჩემი შვილის უღრმავოთ სიკვდილმა ასე ჩუმათ
ჩაიარა!“ მთელი საღსიცი უკმაყოფილო დარჩა, რომდესაც ამ
ნაირ ბოროტ-მოქმედებამ დაუსჯელად ჩაიარა. . . .

ამ ბოროტ-მოქმედების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა,
რომ ს. გ—ში მოხდა უფრო შემადწუნებელი შემთხვევა.
აქ ორნი ძმანი ერთათ სცხვრობდნენ. უფროსმა ძმამ, (რო-
მელსაც ცოლი ჰყვანდა) უმცროსს შერთო ისეთი ქალი, რო-
მელსაც თითონ ჰყვარობოდა. ცოლის შერთვის შემდეგ, უმც-
როსი ძმა წასულა სხვაგან ცოტადენი თულების მოსაგებათ.
იქვე გავეო ძმის უნამუსობა და ბოროტ-განძრახვით შინისკენ
წამოსულიყო. შინ მოსვლისათანავე მან და მისმა ცოლმა პი-
რობა შესჭრეს, რომ იმ დამეს მოკვლათ ეს უფროსი ძმა. შუა-
სრულეს თავიანთი სურვილი შუა-დამისას ორნივე დაეცნენ



მძინარეს, ძალღვივით წააღწევს, თეოლოგად დააკრეს და გადაუ-
ძახეს მდინარე რიონში. რამდენიმე დღის უკან მიტოვებული
სსუელი იმპონეს რიონის ნაპირზედ. ამ საქმეზედ გამოძიება
მოახდინეს. აღმოჩნდა, რომ ის მოკლულია და არა წყალში
დამხრჩვალა. ამის-გამო უმტრისი ძმა და მისი ცოლი დაა-
ტუსაღეს. ამბობენ, რომ ისინიც გაუთავისუფლებიათ. . . .

კიდევ ერთი შემთხვევა. სოფელ—კ—ში ერთი გლეხი
თავის ეზოს თხრილს ავლებდა. მეზობელი, რომელსაც წინეთ
წაღაც ამისი ჯავრი ჰქონოდა, მოუყარდა დიდი კეტით ღ უთხ-
რა, რომ შენ აქ რა გინდა, ეს ჩემი მიწა არისო. ცოტა ხანი
წანძვლა-გინების შემდეგ ამ უწყალომ დაარტყა კეტი საბრა-
ლო მუშას და იქვე სული გაანთხევინა. მკვლელი დაიკარგა.
ბევრი ამ ნაირი ბოროტ-მოქმედება მოხდა ჩვენს მარცხში,
მაგრამ მათ ჩამოთვლას საჭიროდ არა ვხედავ, რადგანაც ისინი
საკმალო რაღ ითქვა. . . .

უკვლავად უფრო გასაკვირველი და ღირს შესანიშნავია
ის მოვლენება, რომ ეს უემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ბო-
როტ-მოქმედებისა მოხდენ სენაკის მარცხში. მკითხველი ამ-
კაცათა ხედავს, თუ რა მავნებელი გავლენა აქვს დაბალი სალ-
ხის ზნეობით ცხოვრებაზედ იმ ბოროტებსა, მას ზედ დაჭ-
ვება უსათუოდ სხვა მრავალ გვარი. . . .

სასოგადოთ უკვლანი და განსაკუთრებით შემოხსენებული
საპრისტავოსი მამსახლისები არიან . . . მონები უ. პრის-
ტავისა. ისინი დაუფორნებელივ ასრულებენ უოველივე პრისტა-
ვის ბრძანებას, რომელიც, შეიძლება, ბევრჯერ იუკეს მავნე-
ბელი ხალხის ცხოვრებისათვის. იქაური პრისტავი, . . . ისე-
თი გონიერი კაცი ბრძანდება, . . . რადესაც მოხდება სადმე
უბედური შემთხვევა, ეს უ. პრისტავი პირველათ მოხდენს

. . . გამომიებას და ამით გათავდება საქმე. . . .
ის აჩის საზოგადოების მოთავე, მაგრამ ემსახურება მას იმ-
დენათ, რამდენათაც ეს . . . სასარგებლოა. უკვლამ კარგათ
იცის, რომ ამისთანა კაცი ხალხს სამსახურს ვერ გაუწევს.
თუმიცადა ესეთი უფიქროსი ეს პრისტივი, მაგრამ მას მანტ
გაუტარების თავისი სიტუაციის ამ თანამდებობაში სიბერეების
და მიუღწევია თავისი პირობებითი მიზნების. აი ის . . .

. . . მაზრის უფროსი განლაგოთ ის პატრიარქის გვამი,
რომელმაც ამას წინეთ გადააჭარბა თავის თანამდებობას, თა-
მამათ შევიდა ხალხის განათლების საქმეში და, რამდენიმე
თავისი ამხანაგების დახმარებით, «დროების» ერთ პატარა წე-
რილში წარმოესთქვა ის აზრი, რომ ჩვენი ხალხისთვის რუსულ
ენის შესწავლა უფრო საჭიროა, ვინემ ქართულისა—(. . .)
ვიციოთ, თუ რა მიზნით წარმოესთქვა ამ ბატონმა ეს . . .

. . . აზრი. ისიც ვიციოთ, თუ რა ქება შესხა ჩვენმა მწერ-
ლობამ ამ ბატონს ამის წარმოთქმისათვის. ამ ბატონს ისეთ-
ნაირათ უყვარს ის შემოსენებულ . . . პრისტივი . . ., რომ
იმასვედ საჩივრის სძენა მეტის-მეტად ეკავრება; . . .

ამბობენ, რომ გლეხობა ძალიან ბნელი ხალხია. მაგ-
რამ დროთა ვითარებამ ბევრათ შეუცვალა ფერი ამ აზრს. . .

. . . მაზრის გლეხობა არც ისეთი გაუნათლებელი გახლავთ,
რომ ვერ გააჩიოს კარგი ცუდისაგან. ამ ხალხმა კარგათ გაუ-
გო შემო-სსენებულ პრისტივს . . . მრავალი უსამართლო
მოქმედება, მაგრამ პირველად ვერ გაბედა მასვედ ხმის ამოღე-
ბა. ბოლოს, როცა ამ ბატონის უსამართლო ქცევამ მიადწია
უკანასკნელ ხარისხების, ზოგიერთ ხალხის წევრებმა ვერ მო-
ითმინეს და უჩივლეს მას ლუბრენტორობან. ეს საჩივარი იუ-
ღამყარებულ მრავალ საფუძვლიან საბუთებზედ. . . .



ერთი სიტყვით საჩივარი ისეთი საბუთიანი იყო. რომ უპრინციპულად საქმე ცუდად უნდა წასულიყო; მეტი გზა არ იყო, ის უნდა გამოეთხოვრა თავის ალაცს საუკუნოდ. მას, როგორც მტყუნს, ძალიან უშინოდა ამ საქმის გამოძიების შედეგისა. მაგრამ, დასე მის ბედის წყარას! ეს საქმე გამოსაძიებლად მიანდევს შემოსხსენებულ . . . მაზრის უფროსს, . . . ჩაჩხი უგულმა დატრიალდა: ყველამ იგრძნო, რომ საქმე ცუდად წავიდოდა — საჩივარი თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგანაც ნამდვილი გამოძიება არ მოხდებოდა. . . .

დადგა გაზაფხული: მთელს სამეგრელოში მოკეფინა ხმა, რომ რევიზორი მოდისო. ამ მოულოდნელმა ხმამ მოჭკვარა ხალხს მოლოდინი ესლანდელი ცხოვრების გაუმჯობესებისა. ყოველ გლეხს გაუელვა გულში იმედის ნაპერწკალი და ფიქრობდა, რომ ეგებ ესლანდ მაინც მეშველეს რამე, რევიზორს შეეჩივლებ ჩემს გულის ტკივილსა, და, ვინცობაა, მისი შემწეობით, ცოტათი მაინც გამიადვილდეს ამ წუთი სოფლის შევიწროებული ცხოვრება. —

. . . ამ ხმამ რაღაც თა-ზარი დასცა მოსამსახურე პირებს (ადმინისტრაციას). არც ერთ მათგანს ჩვეულებრივი იყრი არ ედო. მაზრის ქალაქ ასალ-სენაჰში გაჩნდა არა ჩვეულებრივი ფაცა-ფუცრი და მთელი დღეობით დღედა მუშაობა კანტელარებში; აქამდინ კი მოსამსახურე პირები სანასვეროთ არ დადიოდნენ კანტელარებში. ამ დროს აქ ასწორებდნენ ძველ ყურნალებს, საქმის ქალაქებს და სს. იმ მიზნით, რომ კარგათ დასვედროდნენ უ. რევიზორს. მართლაც ყოველისი იყრი დაზათიანათ შესწორეს. . . .

აი მობრძანდა უ. რევიზორი, ის ძალიან კარგათ ჩხრეკდა კანტელარების ყურნალებსა და ქალაქებსა, სათრიაანათ ქმ-

ტოდა ყველა მოსამსახურე პირებს და ბევრი ნაკლუდეკანებს
ნახა მათში

მასრის ქალაქიდან უ. რევიზორი გაემგზავრა სოფლე-
ბის დასაუფლათ. ბევრგან მან მოასდინა რამდენიმე საზოგა-
დოების კრება. თვით უ. რევიზორი პირადათ ეკითხებოდა
ყველა საზოგადოების კრებას იმაზედ, თუ რა მდგომარეობა-
შია ხალხი, რა აწესებს მას, რა ესაჭიროება, როგორ პატ-
რონობენ მას მთავრობისაგან აღმოჩნეული პირები და სხ....

ამ სიტუების გამგონე ხალხი ყუჩს უგდებდა და ემუ-
საიფებოდა რევიზორს. ბევრი გლესი ქუდ-მოკლევკილი გარ-
ბოდა წინ ამ ხალხის გროვაში და სურდა მას შეეჩიუდა რევი-
ზორისათვის თავის მდგომარეობაზედ. . . .

სენაყელი.

ამა 1882 წელს

საზოგადოებრივ და სალიტერატურულ გაზეთით
 «**შ რ მ მ ა**»

გამოვა იმავე პროგრამით და მიმართულებით, როგორც
 1881 წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამაა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზე, II. ტელეგრაფი-
 მები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. საზოგადოებრივი და სალიტერატურული ცნობებ-
 ი, V. ქრწინა ადგილობრივის თვით - მიმართულებისა,
 VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საზოგადოებრივი მი-
 მოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმო-
 ხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მო-
 თხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები.
 X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. საზოგადოებრივი ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი
 და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალო საგაზეთო
 ქალაქის ფურცელზე, ხანდისხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა
 ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა—შვიდი მანეთი, ნახევ-
 ვარ წლისა—ოთხი მანეთი, სამის თვისა—ორი მანეთი და
 ხუთი შაურნი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩა-
 ზზე, კენინა მატუკაძის სახლში, 2) პ. გ. წუგუიძის სტამ-
 ბაში, თბილისის ქუჩაზე, ერქოვის სახლში და 3) ქმების
 ნაკოლაძეების მალაზიაში.

ქ. თბილისში: შვედოვის გაზეთების სააგენტოში.

ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა თავანთის მოთხოვნით
 ბით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. ლ. მ. აღიანი.

გამომცემლები: თ. ლ. მ. აღიანი და ლ. ა. ნაზაროვი.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პრინციპებითა და რიგით და იმავე თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდანვე ცდილობდა რედაქციას, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შემდეგისა-და-გვარად, გაუძღვებოდას გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გაუძღვებოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტონში, გალაკინის პრესპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოათხოვნონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЕБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდან არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით	—	—	—	—	—	—	—	9 მან.
ნახევარის წლით	—	—	—	—	—	—	—	5 „
სამის თვით	—	—	—	—	—	—	—	3 „
ერთის „	—	—	—	—	—	—	—	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მოწერმა გაზეთის დაბარებისთანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.



О ВЪ ИЗДАНИИ

въ 1882 г. въ г. Тифлисъ еженедѣльнаго юридическаго журнала

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ второй)

Журналъ, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложений, но прежней программѣ, въ объемъ которой входятъ статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно *интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы *кассационныхъ рѣшеній Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель и проч.

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ сверхъ многихъ лицъ судебного вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоръ-юристовъ.

Редакція журнала—*Тифлисъ Ново-Бebutовская ул. д. № 6*—Администрація (для приѣма подписки, объявленій и различной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул. д. № 40*. Подписная цѣна на журналъ, *съ доставкой и пересылкою*, на годъ—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платѣжѣ денегъ—по соглашенію съ администраціею журнала. Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксъ за занимаемое мѣсто.

Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.

Издатель А. С. Френкель.

Редакторъ А. В. Степановъ

Присяжный повѣренный

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის-მოწერა მიიღება ქ. თბილისში: რედაქციიში, რომელიც იმყოფება კუკიაში, ძეგორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ აღრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ.“*

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.
 ნახევარი წლისა — — — — — 4 მ. 50 კ.
 სამი თვისა — — — — — 2 მ. 50 კ.
 ცალკე ნომერი ეღირება — — — — — 1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდით და სვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, უმორჩილესად ვსთხოვთ, მიღებისათანავე ამ წიგნისა, ანუ გამოგზავნონ სვედრი ფული, ან არა და ნამდვილათ აცნობონ რედაქციას—ეგზავნოსთ შემდეგი წიგნებიც თუ არა, რომ ნამეტანის ეგზევლიარების ბეჭკდით და გზავნით არ მიეცეს რედაქციას ზარალი.

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუუიღესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.